№ 2861
ხუთშაბათი,
14 ივლისი

ცნობის ფურცელი

№ 2861
ხუთშაბათი,
14 ივლისი

გაზეთის ფასი: წელიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

სავაჭრო სახლი
თავ. ზ. ა. ჯორჯაძე და ამხ.
ტფილისში
დიდ-ძალი ღვინოები კახური, ერევნული, განჯური და ლენქორანული.
პრეისკურანტები და ჩამნიკები უფასოდ, მთავარი კანტორა: ოლგას ქუჩა, სახ. მაკაროვებისა, ტელეფონი № 150.

ღვინის ვაჭრობა
დ. ზ. სარაჯიშვილისა
ტფილისში
აცხადებს, რომ იმისგან დამოუკიდებელ მიზეზებით ღვინო წვრილ-წვრილად დროებით აღარ გაიყიდება. ბოჭკობით-კი იყიდება კვლავინდებურად.
პრეისკურანტები და ნიმუშები უფასოდ. კანტორა და საწყობი: ოლგას ქ. ს. მაკაროვებისა ტელეფონი № 150. (2—280—1)

16 ივლისს სოფ. ქოლევში (სადგ. გელათი) გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი
ილია იოსების ძის და იმის მეუღლის ალექსანდრა ივანეს ასულის ჭიჭინაძეების
სულის მოსახსენებლად. (2—2)

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი
მოსდის ყოველ-კვირა
ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის
შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.
ნიკოლოზის ხიდი, №№ 25—30.
ვურჩევთ
ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.
შეუდარებლად. (0—56)

ქუთაისის სათავად აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მსესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ვ. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლგას ქუჩაზე № 4/a, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 445. (წ.)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 15.

ექიმი
ვ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 15, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (30—6.—4)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდია. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—8, კვირა-უქმით 10—1-მდის.

რუსეთ-იაპონიის ომი
დეპეშები
„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
12 ივლისი.

პეტერბურგი. ლინევიჩის უქვეშევრდომილესი დეპეშა 11 ივლისის თარიღით: „დე-კასტრიდან იუწყებიან, ნაშუადღევის 4 ს. მოვიდა ორი ნაღმოსანი, ზარბაზნები ესროლეს პოსტს და წავიდნენო".

ტიანცზინი. 8 ივლისს გამოიცა საყურადღებო ბრძანება იმპერატორისა, რომლის ძალით ჩინეთის ჯარებიდან განდევნილ იქნა შვილდ-ისარი და აგრეთვე დაძველებული იარაღი. ჯარებს უკანასკნელის დროის ახალს იარაღს დაურიგებენ. რეფორმა შედეგია იაპონიის გავლენისა.

სიმფეროპოლი, 12 ივლისი. სატუსაღოს ქვემოდან საიდუმლოდ გაუთხრიათ მიწა, რამაც საშუალება მისცა ბევრს ტუსაღს თავი გაეთავისუფლებინა გაქცევით. როგორაა მიწის გამოთხრის საქმე მოწყობილი, ჯერ არ იციან.

ბერლინი. „ლოკალ. ანცეიგ."-ი ამბობს ორის მონარქის შეხვედრის შესახებ, რომ მონარქთა შორის არსებითი [illegible] მეგობრობის გამო, შეხვედრის ამბავი იმპერატორმა დიდის სიამოვნებით მიიღო. მისს უდიდებულესობას უხარიან იხილოს მეფე დიდისა და საყურადღებო ამბებით აღსავსე ხნის გასვლის შემდეგ. საფუძველს მოკლებულია საფრანგეთისა და ინგლისის პრესის აზრი, ვითომც იმპერატორს განზრახვა ჰქონდეს რჩევა მისცეს მეფეს როგორც შინაურის, აგრეთვე შორეულ აღმოსავლეთის საქმეების შესახებ. იმპერატორი მუდამ უარს ამბობდა მეზობელ სახელმწიფოების შინაურ საქმეების ჩარევაზედ და ახლაც ასე მოიქცევა. თუ მეფე ჰკითხავს იმპერატორს აზრს, მაშინ, ჰფიქრობენ, იგი იმ აზრს გამოსთქვამს, რომ მთავრობის პრესტიჟი და სამშობლოს სიმშვიდე მხოლოდ მაშინ იქნება უზრუნველყოფილი, როცა სრული ბადონ დამყარდება მონარქსა და ხალხს შორისო. რაც ზავს შეეხება, ეს ყველამ იცის, თუ რა გულ-მხურვალედ ეკიდებოდა იგი ზავის სასარგებლოდ პირველ ნაბიჯის გადადგმის საქმეს. ამიტომ დარწმუნებული უნდა ვიყვეთ, რომ ზავის საქმე მოიგებს თ. ბიულოვისა და გრ. ლამზდორფის დაუსწრებლობა მონარქთა მუსაიფის დროს იმის მომასწავებელია, რომ მათ შეხვედრას მეგობრულ ხასიათი ჰქონდაო.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
11 ივლისი.

ბერლინი. ბანკირი მენდელსონი, რომელიც დიდ ხანს ემუსაიფა ვიტტეს, მისს ჩამორების დროს, სწრაფლად გაემგზავრა ნორდენრეიში. თ. ბიულოვთან სათათბიროდ. ჰფიქრობენ, საქმე რუსეთის სესხს შეეხება, რომელიც გერმანიისა და საფრანგეთში უნდა იქნას განაღდებულიო.

სიტიაზა. ხმებია, რომ იაპონელები სცვლიან წინა რაზმებს. ახალი ჯარები მოჰყავთ სამხრეთიდან, ძველები-კი, როგორც ამბობენ, ვლადივასტოკისკენ მიჰყავთ ოპერაციისთვისო.

გოძიადანი. ცნობა მივიდა, რომ იაპონელთ დიდ გემების რაზმი, ალბათ, ტრანსპორტებისა ჯარებითურთ, გაჩნდნენ სახალინთან დუეს პოსტის ახლოს და ესროლეს ნაპირებსო. სახალინის სამხრეთის ნაწილში იაპონელები ნელ-ნელა მიიწევენ ჩრდილოეთისკენ. მკვიდრებს მათ აუკრძალეს ადგილიდან დაძვრა. დრუჟინებს ბეჯითად მიჰყავთ პარტიზანული ომი, უსაფრდებიან, თავს ესხმიან იაპონელების წინა რაზმებს და, შეტაკების შემდეგ, იმალებიან მთებში. ერთმა რაზმმა 10 იაპონელი მოჰკლა საფარიდან, შემდეგ კიდევ 11.

ბერდიჩევი, 12 ივლისი. გუშინ სამხედრო სასამართლომ სამუდამოდ კატორღა გადაუწყვიტა ჟანდარმ ლოლოკოს, როტმისტრ მარკოვსკისა და უნტერ-ოფიცერ ცუკანოვის მოკვლისა და ვახმისტრ პალიის მძიმედ დაჭრისთვის.

პეტერბურგი. „მთავარი შტაბი აცხადებს, განზრახულია მიმდინარე წლის შემოდგომაზე ახალის სკოლების გახსნა სათადრიგო ჯარების ოფიცრების მოსამზადებლად. სკოლაში სწავლების ვადა ექვსი თვეა პირველ რაზრიადის უბრალო ჯარის კაცთათვის, რომელნიც, კურსის გავლის შემდეგ, პოდპორუჩიკობას მიიღებენ საარმიო სათადრიგო ქვეით ჯარებში. ტყუილია ხმები ახალ საიუნკრო სასწავლებლის გახსნის შესახებ.

ლონდონი. რადგანაც ოპოზიციამ გადასწყვიტა ტაქტიკურის მოსაზრებით თავი შეიკავოს ხმის მიცემის დროს, ამიტომ წინადადება სხდომების გადადებაზე მიღებულ იქნა ერთხმად. სხდომა ხვალამდის გადაიდო. სამინისტროს პარტიის წევრები ბლომად მოგროვდნენ სხდომაზე.

ეკატერინბურგი ამ დღეებში დაიწყება რკინის გზის ახალ დიანდაგის გაყვანა ეკატერინბურგსა და პერმს შორის. აშენების [illegible]

ხარკოვი. „იუჟნი კრაი" აცხადებს, 14 ქალიშვილის დახოცვა ტყუილი გამოდგაო.

ხარკოვი. აგვისტოში გაიმართება სიეზდი ხარკოვისა და სხვა გუბერნიების საეროზო დამზღვევ აგენტებისა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

იაპონიის მთავარი რწმუნებული კომურა. როგორც ვიცით, იაპონიამ თავის მთავარ რწმუნებულად ვაშინგტონში გარეშე საქმეთა მინისტრი ბარონი კომურა დანიშნა, იაპონიას მრავალი ნიჭიერი დიპლომატი ჰყავს, და ბარონი კომურა იმათში უნიჭიერეს და გამოცდილ დიპლომატად ითვლება. „ამომავალ მზის ქვეყნის" რწმუნებული წინად პეტერბურგსა, ვაშინგტონსა და პეკინში იყო სხვა და სხვა დროს ელჩად, რუსეთისა, ამერიკისა და ჩინეთის უმაღლესი წრეები კარგად გაიცნა და შორეულ აღმოსავლეთის საქმე დაწვრილებით შეისწავლა, მით უმეტეს რომ კომურა 1900 წელს, სწორედ ბოქსიორთა აჯანყების დროს, პეკინში იყო ელჩად და იქ რიგზედ დაუკვირდა ყველა დიდ სახელმწიფოს პოლიტიკას აღმოსავლეთის საქმეებში. შემდეგ კომურა გარეშე საქმეთა მინისტრად დაინიშნა და იაპონიის დიპლომატების მეთაურად გახდა; 1903 წელს ზაფხულში რუსეთთან დიპლომატიური მოლაპარაკება გამართა და რაკი რუსეთმა ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია იაპონიის მოთხოვნილებას, კომურამ დიპლომატიური მოლაპარაკება მოურიდებლად შესწყვიტა და იაპონია გაბედულად შეუდგა სამხედრო მოქმედებას. იაპონიის მთავარი რწმუნებული გამჭრიახე, მაგარ ხასიათის კაცად ითვლება და მთელ იაპონიას იმედი აქვს, რომ კომურა ეხლაც ღირსეულად გაუძღვება თავის მძიმე საქმეს, მოლაპარაკებას იაპონიის სასარგებლოდ დაამთავრებს და იაპონიის ფლოტისა და ჯარის სახელოვან გამარჯვებას მუქთად არ ჩაატარებსო. კომურას თანაშემწედაც გამოცდილი და ნიჭიერი დიპლომატები დაუნიშნეს. („ნ.").

იაპონიის პირობა. „მაგდებურგიშე ცაიტუნგ"-ი იუწყება: პეტერბურგში იციან იაპონიის პირობათ. იაპონია თხოულობს: რუსეთმა სახალინი უნდა დაუთმოს იაპონიას, ვლადივოსტოკის სიმაგრეები დაანგრიოს, მანჯურია ჩინეთს დაუბრუნოს, ლიაოდუნის ნახევარ-კუნძული იაპონიას გადაეცეს, რუსეთმა კორეიაზე იაპონიის პროტექტორატი უნდა აღიაროს; ხარბინ—პორტ-არტურის რკინის გზა იაპონელებს გადასცეს და სამი მილიარდი ფრანკი კონტრიბუცია გადაუხადოს იაპონიას. იქნება ეს ცნობა სწორე არ იყოს, რადგან იაპონიის მოთხოვნილებაზე მეტად ბევრი ჭრელი, ერთი მეორის წინააღმდეგი ცნობა იბეჭდება. („ნ.").

ჩინეთი და იაპონია. „ტაიმს"-ის პეკინელი კორესპონდენტი დოქტორი მორისონი სწერს: „ჩინეთის მთავრობა ზავის ჩამოგდებას ელის და ნდობით უცქერის იაპონიის რწმუნებულთ. ზოგს უნდოდა, რომ სამშვიდობო კონფერენციაზე ჩინეთსაც ჰყოლოდა თავისი რწმუნებული, მაგრამ უფრო შეგნებულმა ხალხმა ურჩია, სჯობია იაპონელების სამართლიანობას მივენდოთ, და ჩვენი საკუთარი რწმუნებულნი არ გავგზავნოთ, რადგან ვაშინგტონის კონფერენცია საერთაშორისო კონფერენცია როდიაო. მეფის მოადგილე იუანშიკაიც ამავ აზრისაა. („ნ.").

რუსეთისა და იაპონიის ჯარის რაოდენობა მანჯურიაში. პოლკოვნიკ გედკეს აზრით, მარშალ ოიამას ამ ჟამად მანჯურიაში ნაკლები ჯარი ჰყავს გენ. ლინევიჩზე: გენ. ლინევიჩს 500 ათას კაცამდე ეყოლება, მარშალ ოიამას-კი სულ 400 ათას კაცამდეო. („ნ. დ.").

ჩრდილოეთ კორეიაში. „ნოვოე ვრემია"-ს კორესპონდენტი იუწყება 6 ივლისის თარიღით: იაპონელთა გალაშქრებამ ჩრდილოეთ კორეიაში ბოლოს დროს უფრო გარკვეული და საინტერესო ხასიათი მიიღო: ეხლა თითქო ირკვევა, რომ იაპონელები მუსანისა და ნინგანისაკენ გალაშქრებას აპირობენ. იქნება, გენ. ხასეგავას არმიას შუა მანჯურიიდანაც მიჰშველებოდეს ჯარი. კორეელები ამბობენ, მალე იაპონელები ჯარს გადმოიყვანენ ხმელეთზე სხვა და სხვა ადგილასაო,—ჩემის აზრით, ამას იქით უმთავრესი ამბები კორეისა და ვლადივოსტოკისაკენ მოხდებაო".

რუს მეზღვაურების ნაამბობი. ადესაში [illegible] ბრძოლაში, და შემდეგი უამბნიათ: იაპონელები მეტად კაცთ მოყვარულად ეპყრობოდნენ დამარცხებულ რუსებს. რამ წამს იაპონელ ადმირალის გემიდან შეჰნიშნავდნენ, რომ რომელიმე რუსის გემი ძლიერ იყო დაზიანებული, იქიდან დაუყოვნებლივ განკარგულებას ახდენდნენ, რომ დაზიანებულ გემისათვის აღარ ესროლათ და მაშინვე გემებს ჰგზავნიდნენ მეზღვაურების გადასარჩენადა და დაჭრილების საშველად. მაგალითად, იაპონელებმა ჯავშნიან გემ „ადმირალ უშაკოვ"-ის მეზღვაურთა მომეტებული ნაწილი გადაარჩინეს. ამ გემზე მხოლოდ 70 კაცი დაიღუპა. იაპონიის ყველა მაშველ გემზე წამალი, შესახვევი მასალა, ტანისამოსი, საცვალი, ფლანელი, საჭმელი, ღვინო, კონიაკი და სხვა ჰქონდათ დამზადებული. წყლიდან ამოყვანილ რუს მეზღვაურებს მაშინვე ახალ, სუფთა საცვლებსა და ტანისამოსს აძლევდნენ, ფლანელით ჰზელავდნენ და დიდის მზრუნველობით უვლიდნენ. გადარჩენილები შემდეგში იაპონიის დიდ გემებზე გადაჰყავდად და იქ ყოველნაირად ცდილობდნენ, რომ რუსებს არა სწყენოდათ-რა, იმათი თავმოყვარეობა და პატრიოტული გრძნობა არ შელახულიყო. მიიყვანეს თუ არა რუსის ტყვეები იაპონიის სამხედრო გემზე, იქ საჩქაროდ რაღაცა ნივთები ჩამოიღეს კედლებიდან და სტოლებიდან აალაგეს. მერე გამოჩნდა, რომ იაპონელებმა თურმე ყველა კარიკატურა და სახუმარო გამოცემა დამალეს, სადაც-კი რაიმე დაცინვა იყო დაბეჭდილი რუსებზე. იაპონელი ოფიცრები თავიანთ კაიუტებში იწვევდნენ რუსებს; თითქმის ყველა იაპონელ ოფიცერს განსვენებულ ადმირალ მაკაროვის თხზულება ჰქონდა იაპონურ ენაზე, წიგნის ყდაზე დაბეჭდილი იყო ადმ. მაკაროვისა და ერთის გამოჩენილ, პორტ-არტურთან დაღუპულ იაპონელ მეზღვაურის სურათები; ორივე მოკლული გმირი ერთმანეთს ხელს აწვდიან. ერთს იაპონელს ეთქვა რუსებისათვის: „თქვენი გმირი ხელს აწვდის ჩვენს გმირსაო". იაპონელები თავიანთ დაღუპულ მეზღვაურთა სახსოვრად გამოცემულ წიგნებსაც უჩვენებდნენ რუსებს.

რუსის მეზღვაურები ამბობენ, იაპონელებმა შემდეგ ნაგასაკში მიგვიყვანეს და იქაც ზრდილობიანად და კაცთმოყვარულად გვეპყრობოდნენო.

ადმ. ენკვისტის მოქმედების გამოძიება. „ბერლინერ ტაგებლატ"-ი ირწმუნება: ამ დღეებში სამხედრო საზღვაო სასამართლოს განსაკუთრებული კომისია მანილაში წავა და ადგილობრივ გამოიძიებს, თუ რად მოიქცა ასე ადმ. ენკვისტი, თავის კრეისერებით დანარჩენ ესკადრას რად მოჰშორდა და ვლადივასტოკის ნაცვლად სამხრეთისაკენ რად წავიდაო. („ნ. დ.").

რეფორმები და საიდუმლოება.

რეფორმებას საჭიროებამ ისეთის ძლიერებით იჩინა თავი მას შემდეგ, რაც შორეულს აღმოსავლეთში ზარბაზნების გრიალი დაიწყო, რომ დღეს თვით ბიუროკრატია არ უარ ჰყოფს ამას და ისიც იძულებულია გაიმეოროს, „ასე ცხოვრება არ შეიძლებაო". ამისდა მიუხედავად ცხოვრების მიმდინარეობა დღითი დღე უფრო და უფრო ჰკარგავს მშვიდობიანურს ხასიათს რა არის ამისი მიზეზი?—ბევრი რამ, მაგრამ უმთავრესად კი ის, რომ ბიუროკრატიას რეფორმების განხორციელება იმავ საშუალებით ჰსურს, რომლითაც იგი დღემდე უკან-უკან ეწევოდა საზოგადოებრივს აზრს და თვითმოქმედებას. რუსეთის ბიუროკრატიამ სამოციან წლების შემდეგ სისტემატიურად დაიწყო იმ კედლის აშენება, რომელსაც ხალხის თვალისაგან უნდა დაეფარა მმართველობის მოქმედება, გაერიყა ხალხი საქვეყნო საქმეებზე მზრუნველობის გარეშე, და დღეს ეს კედელი ისე ძლიერია, ისე მაგარია, რომ მარტოოდენ ზნეობრივი ძალა საზოგადოებრივის აზრისა საკმარისი არ არის იმის დასანგრევად.

ბიუროკრატია ისე მიეჩვია, ისე შეეთვისა ხალხის ხმისადმი ყურის მოყრუებას, რომ დღესაც-კი, როდესაც იგი ხალხის თვითმოქმედებისთვის ფორმების შექმნას აპირობს, ვერა ჰბედავს და ვერ ახერხებს, უღალატოს თავის ჩვეულებას და თვით ხალხს შეეკითხოს განზრახულის რეფორმების შესახებ. კარჩაკეტილს კანცელარიებში და იდუმალების ფარდებით დაფარულს კაბინეთებში სწარმოებს მუშაობა, ხალხს ეინტერესება, მაგრამ ბიუროკრატია ხალხის მხრივ მოთმინებას და სიჩუმეს ითხოვს.

საცაა ხუთი თვე შესრულდება მას შემდეგ, რაც უმაღლესად დაევალა შინაგან საქმეთა მინისტრს ხალხის წარმომადგენელთა მოწვევის კანონ-პროექტის შემუშავება, მაგრამ დღემდე დაბეჯითებით არავინ იცის, რა გაკეთდა ამ მხრივ და რა ღირსებისაა მინისტრის ბულიგინის პროექტი. განა ჰკუათა მყოფ ადამიანს შეუძლიან სთქვას, რომ რუსეთის ქვეშევრდომი არ უნდა ეძებდეს ამ პროექტის შინაარსის შეტყობას, იმისთვის სულ ერთი უნდა იყოს, რა შინაარსისა იქნება ეს პროექტიო? ის დრო, როდესაც ხალხი კანონისთვის მხოლოდ ობიექტი იყო, წავიდა, მოჩჩა და ვეღარ დაბრუნდება უკან. თუ სიტყვით და აზრით ვერ დაანგრევს ხალხი საიდუმლოების კედელს დაწყნარებით იმ დრომდე ვერ დაწყნარდება, ვიდრე კარჩაკეტილობა არ მოისპობა და ხალხის საქმეები ყოვლის უწინარეს თვით ხალხსვე არ ეკითხება.

ღრმა სოციალურ და პოლიტიკურ რეფორმებს, რომელნიც აუცილებლად განხორციელდებიან რუსეთში, უთუოდ წინ უნდა უძღოდეს ყოველმხრივი და თავისუფალი, ფართო და საფუძვლიან კრიტიკა. ვიდრე საზოგადოებრივის კრიტიკისთვის საჭირო გარანტიები არ იქმნება დაკანონებული, ვიდრე სიტყვისა და ყრილობების სრული თავისუფლება არ იქნება განხორციელებული, საყოველთაო მღელვარებას ვერავითარი ბიუროკრატიული ძალის მოქმედება ვერ შეაჩერებს. ხალხს, რომელმაც განიზრახა თითონ იყოს ბატონი თავის საქმეებისა, ვერც ბიუროკრატიული დაპირება ვერ გააჩერებს. ხალხის მოძრაობას ისეთივე სტიქიონური ხასიათი აქვს, როგორც ზღვის ღელვას. რამდენადაც საერთოდ ადამიანი უძლურია ბუნების კანონების დასარღვევად, იმდენადვე ბიუროკრატია არის უძლური ხალხის მოძრაობის წინაშე, რომელიც მარტოოდენ მაშინ ჩადგება მშვიდობიანურ ბრძოლის კალაპოტში, როდესაც კანონმდებლობა მხოლოდ გამომხატველი იქნება უმრავლესობის სურვილისა და არა მბრძანებელი ბიუროკრატიულ კანცელარიებში გამოგონილის და შეთხზულის ზომებისა.

როგორც ადგილობრივი გაზეთები ამბობენ, კავკასიის უმაღლეს მმართველს წრეებში უკვე დაუსრულებიათ პროექტი საერობო დებულებისა ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებისათვის. ამ დღეებში მოელიან,

რომ ამ პროექტის განსახილველად, თანახმად ნამესტნიკის დაპირებისა, მიწვეულ იქმნებიან წარმომადგენლები თავად აზნაურობისა, ქალაქებისა და სოფლებისა.

ჩვენ გვწამს, რომ კავკასიის მმართველნი ნამდვილად მოწადინებული არიან ერობის შემოღებასა, გვწამს, რომ იმათ ჰსურთ საერობო დებულება შეუფერონ ადგილობრივ ცხოვრების პირობებს, მაგრამ იმათ მაინც საჭიროდ არ მიაჩნიათ არც ამ კანონ-პროექტის გამოქვეყნება და არც თვით ხალხის აზრის შეტყობა კანცელარიაში შედგენილის კანონ-პროექტის შესახებ.

როგორც კავკასიაში, აგრეთვე მთელს რუსეთში ბიუროკრატია ერთსა და იმავე ნიადაგზე სდგას: რეფორმები ისე უნდა მოხდეს, რომ ამ საქმეში ხალხმა მონაწილეობა არ მიიღოს. მმართველობა და კანონების შედგენა ბიუროკრატიის საქმეა, ხალხი-კი ჩუმად უნდა იყოს და, როდესაც კანონი დამტკიცდება და გამოქვეყნდება, მაშინ ხალხს ამ კანონის ფარგლებში მოქმედებაც შეეძლებათ. ბიუროკრატიას ვერ წარმოუდგენია, რომ კანონი თავის შინაარსით მხოლოდ მაშინ შეიტანს ცხოვრებაში საჭირო რეფორმას, როდესაც იგი თვით ხალხის პირდაპირის ზედგავლენით და მონაწილეობით შემუშავდება.

გ. რ.

ერობა ჩვენში

V

სწორედ ამ დღეებში, სანამ ჩვენ ვეცნობოდით 1864 წლის საერობო დებულებას, გაზეთ „კავ.“-ში დაიბეჭდა საყურადღებო ოფიციალური მოხსენება კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიისა საგუბერნიო და სამაზრო განსაკუთრებულის საბჭოების მოწვევის შესახებ ჩვენში ერობის შემოღებისათვის პროექტის შესამუშავებლად. ამ ოფიციალურს დოკუმენტში ზოგი რამ ფრიად საყურადღებოა და უთუოდ უნდა გავაცნოთ მკითხველთ,—გავაცნოთ იმიტომ რომ იქედან ვტყობილობთ ცოტათ თუ ბევრად კავკასიის უმაღლესს მთავრობის აზრსა და მოსაზრებათ ჩვენს ქვეყანაში ერობის დაწესების შესახებ.

პირველად ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ტყუილი გამოდგა ის ხმა, ვითომ საერობო დაწესებულებანი მარტო ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებისათვის იყოს განზრახული; მოხსენებიდან სჩანს, რომ განუზრახავთ მთელს ამიერ-კავკასიაში შემოიღონ ერობა. მართალია, ეს პირდაპირ არ არის ნათქვამი, მაგრამ ცხადად სჩანს იმ შედგენაზე. ეს გარემოება სასიამოვნოდ უნდა დარჩეს ყველას, ვისაც სწამს, რომ კავკასიის ყველა ერებისა და ნაწილების კეთილდღეობა ერთობ მჭიდროდ არის შეკავშირებული და განცალკევება ვნების მეტს არაფერს მოიტანს.

საყურადღებოა: შემდეგ, რომ ნამესტნიკის კანცელარიის მოხსენება საჭიროდ სთვლის მცირე საერობო ერთეულის დაწესებას; შიდა რუსეთში ასეთ ერთეულად, ალბათ, ვოლოსტი იქნება, ამიერ-კავკასიაში-კი სოფლის საზოგადოება იქნებაო. ასეთი მცირე საერობო ერთეული უთუოდ უწოდებრივო უნდა იყოს, ნამდვილ თვითმმართველობის პრინციპზე უნდა იყოს დამყარებული და გადასახადები თვითონ უნდა გააწეროს.

საარჩევნო პრინციპის შესახებ მოხსენება ბევრს არ ლაპარაკობს; აღნიშნავს მხოლოდ, რომ ადგილობრივ პირობების მიხედვით საჭირო იქნება ქონებრივ ცენზის შემცირება და განათლების ცენზის შემოღებაო. საყოველთაო არჩევნებს მოხსენება სრულიად არ იხსენიებს არა თუ საგუბერნიო და სამაზრო ერობის დაწესებულებათათვის, არამედ მცირე საერობო ერთეულისათვისაც.

მცირე საერობო ერთეულზე ლაპარაკს მოხსენება იმით ათავებს, რომ შესაძლებელია ამ საგანზე ჯერ-ჯერობით სჯა არ ვიქონიოთო; ჯერ საგუბერნიო და სამაზრო ერობა იქმნას შემოღებული და შემდეგ ამათ დააწესონ მცირე ერთეულიცაო... თვით საგუბერნიო და სამაზრო საერობო დაწესებულებაზე მოხსენება არაფერს ამბობს; მხოლოდ ზოგიერთ ადგილებიდან შეგვიძლია დავსკვნათ, რომ კავკასიის უმაღლეს მთავრობას საუკეთესო პროექტად მიაჩნია 1864 წლის საერობო დებულება; მხოლოდ, რასაკვირველია, ზოგი ცვლილება უნდა იქმნას შემოღებული ადგილობრივ პირობათა თანახმადაო...

როგორც ხედავთ, კავკასიის უმაღლეს მთავრობის მიერ განზრახული ერობა ბევრად სჯობია აწ არსებულთ შიდა რუსეთში და დასავლეთ გუბერნიებში; მაგრამ ჩამოუვარდება იმ ფართო და ნამდვილ თვით-მმართველობას, რომელიც საამდროვოდ და საუკეთესოდ მიაჩნიათ ერობისა და მწერლობის მოწინავე წარმომადგენლთ... თვით ერობის დებულება უნდა განიხილონ სამაზრო და საგუბერნიო განსაკუთრებულ საბჭოებმა, რომელნიც დაუყოვნებლივ იქნებიან მოწვეულნი. სამაზრო საბჭოებში წარმომადგენელნი უნდა აირჩიონ: 1. მემამულეებმა, რომელნიც ამისთვის საარჩევნო კრებებს გამართავენ, 2. ქალაქის საბჭოებმა ან რწმუნებულთა კრებებმა და 3. სოფლის საზოგადოებებმა. ხოლო საგუბერნიო საბჭოებში წარმომადგენლები სამაზრო საბჭოებმა უნდა აირჩიონ. ამორჩეულთა გარდა საბჭოებში მოხელეებიც მიიღებენ მონაწილეობას. საბჭოების კრებები საჯარო უნდა იქმნეს. მუშაობა ადრე უნდა გათავდეს, რადგან საბჭოთა პროექტები და მოსაზრებანი 15 სექტემბრამდე უნდა წარედგინოს ნამესტნიკის საბჭოს. უკანასკნელი საბოლოოდ გადასინჯავს და შეიმუშავებს ერობის დებულებას; ამ საბოლოო შემუშავებაში არჩეულნი პირნიც მიიღებენ მონაწილეობას...

უნდა აღვიაროთ, რომ კავკასიის უმაღლეს მთავრობას კარგი აზრი მოსვლია თავში—მცხოვრებთა წარმომადგენლებსაც შეამუშავებინოს ერობის პროექტი; მაგრამ რამდენად ნაყოფიერი იქნება ეს მუშაობა [illegible]დვილ თვით-მმართველობის დაწესებისა,—ეს საზოგადო პირობებისაგან იქნება დამოკიდებული. ამაზე შემდეგ.

გ.

25 წლის თავი

„ქართულის დრამატიულის საზოგადოებისა“.

(დასასრული *)

შემდეგის სეზონის წარმოება თავს იდვა დასის ორმა ნიჭიერმა მსახიობმა ვ. აბაშიძემ და კ. მესხმა. ამათი ანტრეპრიზა ჩინებულად გათავდა, ხალხი ბლომად ესწრებოდა. აღსანიშნავია, რომ ამათ ანტრეპრიზაში დაიდგა პირველად დავით ერისთავის მიერ სარდუს პიესისაგან გადმოკეთებული ისტორიული დრამა „სამშობლო“, რომელმაც, როგორც ყველამ უწყის, მეტად დიდი ზედგავლენა იქონია მთელს ქართველობაზე და ჩვენი თეატრის ისტორიაში მთელი ხანა შეჰქმნა.

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2860.

1882/3 წ. სეზონის ბედ-იღბალს განაგებდა ჩვენი პოეტი აკაკი წერეთელი, მაგრამ სეზონი ძლივს-ძლივობით დასრულდა და დავალიანდა კიდეც. 1883/4 წლის სეზონის გაძღოლა ისევ ვ. აბაშიძემ იკისრა თავის მეუღლესთან ერთად, მაგრამ ბოლო ვერ გაატანა და სეზონის ბოლო მსახიობთა ამხანაგობამ დაასრულა საქმის არევ-დარევით და ზარალით. 1884/5 წლის სეზონის გამგებლად გამოვიდა აწ განსვენებული ალექსანდრე ნებიერიძე, რომელმაც თუმცა, ყველა მსახიობთა თავი მოუყარა, მაგრამ მაინც საქმე დიდის ზარალით დაამთავრა... 1885/6 წ. სეზონს აწარმოებდა მარიამ საფაროვი—აბაშიძისა და, შედარებით, საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ ყველა მსახიობნი ვერ მიკედლა, ზოგი ალთას გარბოდა, ზოგი ბალთას და შემდეგ სეზონისათვის ხელი არ მოუკიდნია. 1886/7 წლის სეზონს მსახიობთა შეერთებული ამხანაგობა აწარმოებდა ვ. აბაშიძის მეთაურობით. მეტის მეტად მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა საზოგადოებაზე ყველა ზემოდ ჩამოთვლილი რყევა და უილაჯობა ქართულის თეატრისა. საზოგადოებას გული გაუტყდა, მაყურებელნი იმის მაგიერ, რომ ხალისიანათ შეეგებებოდნენ ახალ საქმეს, თან და თან უფრო გაურბოდნენ თეატრს და არც საკვირველია; თითო ოროლა მაგალითის გარდა, სეზონის გამძღოლნი და თეატრის ბედ-იღბალის გამგებელნი მხოლოდ იმის სცდასა და ფიქრში იყვნენ, რომ როგორმე არ ეზარალნათ და ფული დაეძროთ აყურებელთათვის, ხოლო მათ ესტეტიურ გრძნობა-გონების დაკმაყოფილებაზე სულ არ ფიქრობდნენ... ქართულ სცენისა და თეატრის საქმე უკიდურესს ზომამდე იყო მიღწეული!

1887/8 და 1888/9 წლის ორი სეზონის ანტრეპრენობა ისევ ცოტათი მოღონიერებულმა და განახლებულმა გამგეობამ იკისრა. პირველი სეზონი საუცხოვოდ დასრულდა—დაქსაქსულნი და დაფანტულნი მსახიობნი ერთად შეიკრიბნენ, გამოჩნდნენ ახლებიც, რეჟისორობდა მცოდნე და საქმის მოყვარული კაცი ვასილ თუმანიშვილი, რუსეთიდან ახლად ჩამოსული, მაგრამ ორი სეზონის საერთო ზარალი შედარებით ისე დიდი იყო, რომ გამგეობა წელში მოდრიკა და უსახსრობის გამო ქართულ თეატრის საქმე ისევ კერძო პირთა და ანტრეპრენერთა ანაბარად დარჩა!

1889/90 წ. სეზონს აწარმოებდნენ ვ. აბაშიძე და ვ. გუნია. ამ სეზონში აღსანიშნა[illegible] იდღესასწაულა თავის არსებობის ათის წლის თავი და ამავე სეზონში შემოღებულ იქმნა ქართულ თეატრის დაფუძნების დღის (2 იანვარში 1850 წ.) დღესასწაული. 1890/1 წ. სეზონს განაგებს ვ. აბაშიძე, ხოლო 1891/2 წლიდან საქმეში გაება ისევ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა და ყოველ წლივ გამუდმებით მართავდა წარმოდგენებს 1894/5 წლამდე, როდესაც, ძალზე დაზარებული, იგი იძულებული იყო საქმეზე უარი ეთქვა, მაგრამ სეზონის წარმოება მსახიობთა ხელში-კი არა, კერძო პირთა, ინტელიგენტთა მცირე ჯგუფის ხელში გადავიდა, რომელიც „ქართულ წარმოდგენების მართველ საზოგადოების“ სახელით მართავდა მთელის წლის განმავლობაში წარმოდგენებს.

შემდეგი 1895/6 წ. 1896/7 წლის სეზონებს ისევ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ მოჰკიდა ხელი, მაგრამ უსახსრობისა გამო 1897/8 წ. სეზონის გამგებლობა გადავიდა კერძო პირთა ამხანაგობის ხელში, მაგრამ შემდეგის სეზონიდან მოყოლებული წარსულ სეზონამდე (1898/9—1903/4) თეატრის საქმეს განაგებდა ისევ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა. ეს უკანასკნელი ხუთი სეზონი შედარებით წარსულ სეზონებთან ყოველ მხრივ ნაყოფიერი და მრავალფეროვანი იყო, როგორც რეპერტუარის სიმდიდრით და სხვა და სხვაობით, ისე წარმოდგენების სიმრავლით, მსახიობთა მეცადინეობით, ახალ მოთამაშეთა გამოჩენით და საზოგადოდ შეგნებულისა და საქმის უფრო ფხიზლად წარმოებით. ამ უკანასკნელ სეზონში გამგეობამ შესამჩნევად გაიფართოვა თავის მოქმედების ასპარეზი როგორც თვით ტფილისში, ისე პროვინციაშიაც, რამაც, უეჭველია, საკმაო მოუმზადებლობისა და სხვა ორგანიულ მიზეზთა გამო, ძალზე დააზარალა „საზოგადოება“ რის გამოც წარსულ სეზონის გაძღოლა გამგეობამ ვერ შესძლო უსახსრობის გამოისობით და მიტომ 1904/5 წლის სეზონის მართვა-გამგებლობა თავს იდვა ეგრედ წოდებულმა „ქართულ დრამის ამხანაგობამ“, რომელიც სახაზინო თეატრში მართავდა ქართულს წარმოდგენებს.

ამ რიგად 25 წლის განმავლობაში ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას საკუთარი ანტრეპრიზა ჰქონია 12-ჯერ; სამჯერ მისის სუბსიდიით კერძო „ამხანაგობათ“ უწარმოებიათ ქართული თეატრის საქმენი, ხოლო ათჯერ კერძო პირთ და მსახიობთა ამხანაგობათ უმართავთ ქართული წარმოდგენები.

ამ ოცდა ხუთის წლის განმავლობაში ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ ყოფილან ილია ჭავჭავაძე, რაფიელ ერისთავი, გიორგი თუმანიშვილი, ვასილ სულხანიშვილი, პეტრე გრუზინსკი, დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ისარლიშვილი, ნიკოლოზ ქართველიშვილი და ეხლა არის ალექსანდრე ორბელიანი.

25 წლის განმავლობაში ქართულ დასის რეჟისორებიც ყოფილან დრო გამოშვებით: გიორგი თუმანიშვილი, მიხეილ ბებუთაშვილი, აკაკი წერეთელი, ანტონ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ავალიშვილი, მიხეილ ყიფიანი, ვასილ თუმანიშვილი, ვასილ სულხანიშვილი, ხოლო არტისტთაგან ვ. აბაშიძე, კ. მესხი, ვლ. ალექსი-მესხიშვილი და ვალერიან გუნია.

ამ 25 წლის განმავლობაში ქართულს თეატრში ევროპიელ კლასიკ-დრამატურგთა შორის წარმოუდგენიათ შექსპირის „მეფე [illegible] („შეელობა“), „ქირვეული ცოლის მორჯულება“, „რომეო და ჯულია“, და „ოტელლო“; შილერისა „ყაჩაღები“, „სიყვარული და ვერაგობა“, გუცკოვისა „ურიელ აკოსტა“, გოლდონისა—„როგორც ჰქუხს ისე არა სწვიმს“, მოლიერისა „დონ-ჟუანი“, „ჟორჟ-დანდენი“, „სკაპენის ცუღლუტობა“, „კრიაზნი“, „ტარტიუფი“, „ძალად ცოლის შერთვევინება“ და „ქალთა სკოლა“; ბომარშესი—„სევილიელი დალაქი“, და „ფიგაროს ქორწინება“, ვიქტორ ჰიუგოსი—„ერნანი“ და „რუი ბლაზი“, ჯიაკომეტისა—„იუდით“-ი, რუსის დრამატურგებისა—გოგოლის „რევიზორი“, გრიბოედოვის—„ვაი ჭკუისაგან“ და ლერმონტოვის—„მასკარადი“ და ოსტროვსკის პიესები; თანამედროვე ცნობილ ევროპიელ მწერალთა ზუდერმანის, იბსენის, ჰაუპტმანის, ბრანდესის, პოლერვიესი, მირბოსი, არიესი, ჩეხოვისა, სუმბათაშვილის, ნაიდენოვის, პროტოპოპოვის, პოტაპენკოსი და სხვათა; ხოლო სომხურიდან ყველა პიესები გაბრიელ სუნდუკიანცისა. საზოგადოდ უცხო ენიდან ნათარგმნი პიესები ორასამდე იქნება.

ორიგინალი პიესების [illegible] უკვე ცნობილის აკაკი წერეთლის, [illegible] ცაგარელის, რაფიელ ერისთავის, ალექსანდრე ყაზბეგის, დავით ერისთავის და ჩვენ ძველ კლასიკთა გ. ერისთავის და ზ. ანტონოვის გარდა, საზოგადოების ყურადღება მიიქციეს ნ. აზიანმა, მენაშვილმა, ე. გულისაშვილმა, ვალერიან გუნიამ, დავით კლდიაშვილმა და სხვებმა.

საზოგადოდ-კი ნათარგმნი პიესები ერთი-ორად და ერთი-სამად მეტია ქართულს რეპერტუარში, ვიდრე ორიგინალები.

ძველი მწიგნობარი

ახალი ამბავი

— როგორც ნამდვილად გავიგეთ, **საქართველოს ახლად დანიშნული ეგზარხოსი** ნიკოლოზი ტფილისში ჩამოვა 22 ივლისს.

— გუშინ-წინ, 12 ივლისს, ტფილისში, ოლგას ქუჩაზე, **პოლიციმეისტერს გიორგი კოვალევს ესროლეს ყუმბარა და დასჭრეს.** პოლიციმეისტერი დილის 8½ საათზე თავის კანცელარიაში მისულა. იქ დაუმზადებია მოხსენება, კავკასიის ნამესტნიკთან წასაღები, და შემდეგ თავის ეტლით წასულა სასახლეში. როცა ოლგას ქუჩაზე გამოსულა, დაუნახავს თავისი ნაცნობი, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტად ნამყოფი, გორის მაზრის მცხოვრები ლევან ალექსანდრეს ძე ხერხეულიძე, რომელიც იქვე ქვაფენილზე მდგარა. ხერხეულიძეს პოლიციმეისტრისავე განცხადებით, ჯიბიდან ხელი ამოუღია და მაღლა წაუღია. პოლიციმეისტერს ჰგონებია სტუდენტი თავს მიკრავსო, მაგრამ მერე შეუნიშნავს, რომ ხელში ყუმბარა სჭერია. პოლიციმეისტერს რევოლვერი ამოუღია სასროლად, მაგრამ ამ დროს ყუმბარა გავარდნილა. ყუმბარა გასკდარა, იმის ნამსხვრევებს უკანიდან ეტლი გაუხვრეტია და პოლიციმეისტერი დაუჭრია ორსავე ფეხში. პოლიციმეისტერი დაჭრილა აგრეთვე მარცხენა ხელში. ძლიერ დაშავებულა ცხენი, ასე რომ მეეტლე შემდგარა. პოლიციმეისტერი ეტლიდან ჩამომხტარა და ქვაფენილზე გადასულა. აქ მიშველებიან ორი სალდათი და მესაათე ბოზანოვი და შეუყვანიათ ამ უკანასკნელის მაღაზიაში. აქედან დაჭრილი გადაუყვანიათ ზემელის აფთიაქში, სადაც დაბარებულ ექიმებს ჭრილობანი შეუხვევიათ და შემდეგ თავის სახლში წაუყვანიათ. ამ ხნის განმავლობაში ხერხეულიძეს ანასტასიას ქუჩაზე პოლიციელი დასდევნებია. შემდეგ სხვა პოლიციელნიც მისცვივნიან. ძალზე დაშავებული ხერხეულიძე პოლიციის პირველ ნაწილში მიუყვანიათ, გრძნობა დაკარგული ხერხეულიძე იმავე დღეს მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. ექიმების შემოწმებით, ხერხეულიძის მორჩენა საეჭვოა. იმავე დღეს ოლგას ქუჩაზედ დაიჭირეს ტფილისის მოქალაქე ვასილ ჩხარაძე და რამდენიმე სხვა კაცი. ეს ამბავი დილითვე მთელმა ქალაქმა შეიტყო. პოლიციმეისტრის ბინაზედ იყვნენ კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე, საპოლიციო ნაწილის გამგე გენ. შირინკინი, გუბერნატორი და სხვ. გამოძიებას შეუდგნენ.

— გუშინ, 13 ივლისს, მესამედ წარსდგნენ ნამესტნიკის წინაშე ქართლიდან გამოგზავნილი გენერალ-ადიუტანტ თ. ამილახვრის მიერ **ამორჩეული გლეხები და მამასახლისები.** სულ იყვნენ 48 კაცი ცხინვალისა და მეჯვრისხევის საბოქაულოდან, სულ 16 სამამასახლისოს გამოეგზავნა ესენი, სახელდობრ: ბორტევისა, ჯავისა, ცხინვალისა, როკისა, ქუმლთისა, ყორნისისა,

ფელეტონი

აგრარულ საკითხის შესახებ

(დასასრული *)

კაუტსკიმ, მიიღო-რა ფაქტად, რომ გლეხთა გაპროლეტარება არა ხდება ისე, როგორც მარქსსა და ენგელსს მეორმოცდა რვა წლებში ეგონათ, მაინც შეირჩინა „წმინდა პროლეტარული“ შეხედულება აგრარულ საკითხის გადაწყვეტაში. ამან-კი იგი საყურადღებო დასკვნამდე მიიყვანა. რაკი ეკონომიური ევოლუცია სოფლად არა სრულდება ერთად-ერთ შესაძლებელ ფორმაში—ორგანიზაცია მსხვილ წარმოებისა,—ამისათვის სასოფლო მეურნეობა უნდა დაეცეს და გლეხები გადაგვარების გზას დაადგნენ. აქედან, კაუტსკის თეორიის მიხედვით, სხვადასხვა მხარე ორ ნაწილად იყოფება: რჩეული და არა რჩეული. პირველს შეადგენს მრეწველი მხარე, მეორეს—მიწათ-მოქმედი. მხოლოდ პირველისთანა მხარეს შეუძლიან შევიდეს კოლლექტივიზმის სამეფოში, რადგან მასში ხდება ანუ სრულდება ობიექტივი პირობა კოლლექტივიზმისა—წარმოების გასაზოგადოებრივება. მეორე მხარენი-კა ამას ვერ ეღირსებიან, რადგან ისინი არ ემორჩილებიან პროცესს გასაზოგადოებრივობისას... კაუტსკი ამბობს: „თავის ვითარებაში კაპიტალისტური წესი წარმოებისა უეჭველ მხარეში მრეწველობას ადრე თუ გვიან აქცევს ექსპორტულ მრეწველობად, რომელიც ვერ კმაყოფილდება შინაურ ბაზრით და ამზადებს ნაწარმოებს მსოფლიო ბაზრისათვის. ამდენადვე იყვანს მიწის-მოქმედებას ისეთს ხარისხამდე, სადაც მას აღარ შეუძლიან უზრუნველ ჰყოს შინაური ბაზარიც-კი და მისი მნიშვნელობა მსოფლიო წარმოებასთან შედარებით თანდათან ძირს ეცემა.“ ამრიგად, სხვადასხვა მხარეთა დაყოფა ინდუსტრიალ და მიწათ-მოქმედ მხარედ არის კანონი კაპიტალიზმის განვითარებისა და ამავე დროს ესევე პროცესი აუცილებელი პირობაა პროლეტარიატის გამარჯვებისა ინდუსტრიალურ ქვეყნებში... მაგრამ ვკითხოთ: რას იქმან მიწათ-მოქმედი მხარენი? კაუტსკი ამაზე სდუმს...

როგორც არა ერთხელ მოვიხსენიეთ, ორთოდოქსალ მარქსიზმის მთავარ პუნქტად ითვლება შემდეგი დებულება: თანდათანი კონცენტრაცია კაპიტალისა და თანდათანი გაპროლეტარება წვრილ მესაკუთრეთა (ხელოსანი და გლეხი). ასეთი ტენდენცია უთუოდ არსებობს თანამედროვე ეკონომიურ ვითარებაში, მაგრამ შემდეგის განსაზღვრით. ჯერ ერთი, არ უნდა აურიოთ ერთმანეთში კაპიტალის კონცენტრაცია და კაპიტალის ერთ ხელში მოგროვება, რაც ბევრს მარქსისტს ემართება. კაპიტალის კონცენტრაცია ნიშნავს წარმოების გაფართოვებას და სრულიად არ უარჰყოფს იმას, რომ ეს გაფართოვებული წარმოება მრავალ მესაკუთრეს ეკუთვნოდეს. და მართლაც, უახლოესი ფორმა კაპიტალიზმისა სწორედ ამას გვიმტკიცებს. აიღეთ, მაგალითად, ამერიკის კაპიტალიზმი. აქ მრეწველობის რომელიმე დარგი ერთს გაფართოვებულ წარმოებაშია მოქცეული, მაგრამ ამ წარმოებაში დაბანდებული კაპიტალი რამდენსამე კაპიტალისტს ეკუთვნის, თუმცა დახამჯვილებით ძნელი გამოსაცნობია, ვის. ამას მოწმობს ვითარება თანამედროვე ტრესტებისა ამერიკაში.

მაგრამ ეს სხვათა შორის. მთავარი საკითხი შემდეგია: რა მნიშვნელობა აქვს ზემოაღნიშნულ ტენდენციას და როდის? მას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მაშინ, როცა იგი არის ერთად-ერთი მძლავრი ტენდენცია, რომელიც გამოანგარიშებით მიაღწევს საზღვარს (предѣльный моментъ), ესე იგი, მას აქვს მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ, თუ რომ ყოველი შუათანა (промежуточная) ფორმა წარმოებისა გაჰქრება და თუ ყოველი შუათანა წრე საზოგადოებისა დაჰკარგავს ყოველგვარ პოლიტიკურ როლს, ანუ უფრო მარტივად რომ ვსთქვათ, ამ ტენდენციას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს გადამწყვეტელი მნიშვნელობა მარქსისტთა სოციალ-პოლიტიკურ პროგრამაში, თუ რომ იგი მიაღწევს ისეთს პოლიუსს, რომელთაგანაც ერთი წარმოადგენს აბსოლუტ მცირე რიცხვს მესაკუთრეთა და მეორე—აბსოლუტ უმრავლესობას საკუთრებას მოკლებულთა.

მაგრამ განა ასეთია ზემოაღნიშნული ტენდენცია? სრულიადაც არა! არსებობს ტენდენცია კონცენტრაციისაკენ—ეს ფაქტია; მაგრამ არა ნაკლები ფაქტია ისიც, რომ თვით ეს კონცენტრაცია იწვევს პარცელლაციას. კონცენტრაცია აქრობს წარმოების შუათანა ფორმას, მაგრამ მოისპობა თუ არა ერთი რომელიმე განსაზღვრული შუათანა ფორმა წარმოებისა, მის ადგილს უეცრად სჩნდება ახალი, ამის შემდეგ კიდევ კონცენტრაცია და კიდევ პარცელლაცია, და ასე ამნაირად. თავისთავად საგულისხმოა, რომ ასეთი რთული ტენდენცია ვერასოდეს ვერ მიაღწევს ისეთს საზღვარს, სადაც მას, გონებრივ გამოანგარიშებით, უნდა ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. ამ მხრივ აღსანიშნავია თვით კაუტსკის აზრი, რომელიც მან გამოსთქვა ამ ბოლო დროს „ერფურტის პროგრამის“ მეხუთე გამოცემის წინასიტყვაობაში. „ამნაირად, გხედავთ,—სწერს იგი—რომ თვითონ კონცენტრაცია კაპიტალისა იწვევს მოთხოვნილებას წვრილ წარმოებათა გამრავლებისას და ხელს უწყობს მათ წარმოშობას“. „უეჭველად შემცდარია ის აზრი,—სწერს იქვე იგივე კაუტსკი—ვითომ კოლლექტივისტური წარმოება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როცა ყოველი წვრილი წარმოება შთაინთქმება მსხვილ წარმოებისაგან. თუ ეს ასეა, მაშინ იგი არასოდეს არ იქმნება შესაძლებელი, რადგან კონცენტრაცია კაპიტალისა-კი არ აქრობს მთლად წვრილ წარმოებებს, არამედ უფრო ჰქმნის ძველის ალაგზე ახლებს“ (კურსივი ჩვენია). ეს ადგილი სრულიად აქარწყლებს ორთოდოქსალ მარქსიზმის იმ ცენტრალ იდეას, რომელიც მკაფიოდ იყო და არის გამოსახული მარქს-ენგელსის ცნობილ „მანიფესტში“...

ამ რიგად, ჩვენ მივედით შემდეგ დასკვნამდე: მარქს-ენგელსის მიერ აღნიშნული ტენდენცია ეკონომიურ ვითარებისა, სახელდობრ, თან და თანი კონცენტრაცია კაპიტალისა და ამგვაროვე თან და თანი გაპროლეტარება წვრილ მესაკუთრეთა, არ არის ერთად ერთი მძლავრი ტენდენცია, და არც აქვს ის მნიშვნელობა, რომელიც ჰქონდა მხედველობაში მარქს-ენგელსის „მანიფესტს“; მაშასადამე, ამ ტენდენციაზე აგებული პროგრამაც ვერ მიაღწევს მიზანს და ამიტომ უნდა უთუოდ შეიცვალოს. ამას მოითხოვს თვით სოციალური ევოლუცია.

როგორი უნდა იყოს აგრარული პროგრამა? სანამ ამ კითხვას პირდაპირ მივუგებდეთ, საჭიროა ერთის კითხვის ზოგადათ მაინც ახსნა. ეს საკითხი არის შემდეგი: ეწინააღმდეგება თუ არა ინტერესი პროლეტარისა მშრომელ გლეხის ინტერესს? მარქსიზმის შეხედულებით, ეწინააღმდეგება, რადგან გლეხი სხვა კლასს შეადგენს, იგი არის წვრილი ბურჟუა. რა საფუძველზე აშენებს მარქსიზმი ამგვარად კლასების დაყოფას? ეს საფუძველი არის წარმოებითი მომენტი, თუ ვინ როგორ მონაწილეობას იღებს საერთო წარმოებაში: საკუთრებით თუ საკუთრების გარეშე. ხოლო, მარტოდ-მარტო წარმოებითი მომენტი ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს, რადგან, იმას რომ მივყვეთ, მაშინ რომელისამე ბანკის დირექტორიც, რომელიც მოკლებულია წარმოების იარაღს, ჩვენ თვალში პროლეტარად გამოვა, და რომელიმე მშრომელი გლეხი, რომელიც დილიდან საღამომდე სისხლის ოფლით რწყავს მიწას, რომ თავის თავიც ირჩინოს და ოჯახსაც მუქთა-ხორაც გაუძლოს,—გვიმეორებ ამგვარი გლეხი, რომელსაც აქვს საკუთრებად რამდენიმე ნაგლეჯი მიწა, წვრილ ბურჟუად დაგვესახება.

*) იხ. „ცნ. ფურ.“ № 2858

წუნარისა, შინდისისა, თამარაშნისა, დიცისა, ბელოთისა, მერეთისა, ტყვიავისა, კარალეთისა, ხურვალეთისა და ჭალისა. პირველ საათზე გამოვიდა ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ დაშკოვი სასახლის ერთ-ერთ დარბაზში, სადაც შეიკრიბნენ დეპუტატნი და მიესალმა მათ. გრაფს ახლდნენ: თანაშემწენი: სულთან-კრიმ-გირეი და გენერალი შირინკინი; კანცელარიის დირექტორი პეტერსონი, ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი ალიშევსკი, გრაფის ნალაპარაკევის სათარგმნელად საგანგებოდ მოწვეული საგუბერნიო სამმართველოს წევრი ა. ყიფშიძე და სხვანი. გრაფმა დეპუტატებს იგივე გაუმეორა, რაც წინა კვირას ჩამოსულებს უთხრა. კერძო საკუთრების ხელის შეხების ნება არა გაქვთ, სასტიკად დაისჯებით ასეთის საქციელისათვის. რაც ზარალი მიგიყენებიათ კერძო საკუთრების პატრონთათვის, გადაგხდებათ და ნულარ ჩაიდენთ კანონის საწინააღმდეგო საქციელსო. ამასთან გრაფმა ესეც უთხრა: თქვენი გაჭირვება კარგად ვიცი; ვიცი, რომ ბევრს მამული გაკლიათ, ვიცი, რომ დიდი უწესოებაა სოფლად. დამშვიდებული დაბრუნდით სახლებში, შეუდექით თქვენ საგლეხო საქმეს. დარწმუნებული იყავით, რაც-კი შესაძლებელია და კანონის წინააღმდეგი არაა, ყველაფერი მოგენიჭებათ. სახაზინო მამულებს შეღავათიანის პირობით გადმოქცემთ, დაგიარსებთ საგლეხო ბანკს, რომ მის დახმარებით შეიძინოთ საკუთრად მამულებიო და სხვა. შემდეგ დაურიგა რუსულ-ქართული განცხადება ამავე საგნის შესახებ, მოიმინა კერძო საჩივრები იმ დეპუტატებისა, რომელთაც განაცხადეს თავიანთი საჭიროებანი, და გავიდა დარბაზიდან.

✦ **გლეხებთან მოსალაპარაკებლად** კახეთში გაგზავნილმა გენ. თავ. ზ. გ. ჭავჭავაძემ გზად გაიარა ტფილისის მაზრის სოფლებშიაც და გამართა გლეხთა ყრილობები. პირველი ყრილობა 10 ივლისს მოხდა სოფ. ვაზიანში. შეიკრიბნენ ლილოსა, მარტყოფისა, ნორიოსა და ახალ სოფლის მცხოვრებნი. თავ. ჭავჭავაძე კარგა ხანს ესაუბრებოდა და არიგებდა გლეხობას, დაწყნარდით და მშვიდობიანად იცხოვრეთო. თუ მშვიდობიანად იქნებით, უმაღლესი მთავრობა ზოგიერთ რეფორმის შემოღებას აპირებს და ამით თქვენი მდგომარეობაც გაუმჯობესდება; მოგითმენიათ, კიდევ მოითმინეთო. აუწყა ისიც, რომ ზარალი უნდა აღვუდგინოთ მემამულეებსაო. შემდეგ თავ. ჭავჭავაძე გაემგზავრა სოფელ სართიჭალაში, სადაც შეეკრიბათ სოფლებ სართიჭალისა, ხაშმისა, უჯარმისა და პატარძეულის მცხოვრებნი. თავ. ჭავჭავაძემ იქაც იგივე სთქვა, რაც ვაზიანში. მესამე ყრილობა მოხდა ივრის ხიდთან. შეიკრიბნენ საგარეჯოს, თოხლიაურისა და მანავის მცხოვრებნი. ამავე დღეს თავ. ჭავჭავაძე დაესწრო სიღნაღის მაზრის სოფელ კაკაბეთისა და ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთა კრებას.

✦ 12 ივლისს ვირსალაძის თავმჯდომარეობით, ტფ. **სათავად-აზნაურო სკოლის საზოგადოებამ** განაგრძო კრება. ამ დღეს უნდა მომხდარიყო არჩევნები საზოგადოების გამგე-კომიტეტისა, ძველის ნაცვლად, რომლის წევრებმაც უარი განაცხადეს. ბარათებით თავმჯდომარის თანამდებობაზედ დასახელებულ იქმნენ კნ. მ. ვ. ორბელიანისა, წევრებად ექიმი ვირსალაძე, ექ. გაბაშვილი, ვ. რ. ყიფიანი, ვ. რცხილაძე და დ. ზ. მელიქიშვილი. რადგან ამათ უარი განაცხადეს, კრებამ ერთხმად დაადგინა, სთხოვოს კნ. მ. ვ. ორბელიანისას დასთანხმდეს თავმჯდომარის თანამდებობაზედ. კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგად დაასახელეს ოთხი-ხუთი კაცი, ხოლო წევრებად ათზე მეტი. ამათაც უარი განაცხადეს. რადგან გვიან იყო, კრება 13 ივლისისთვის გადაიდო.

✦ კავკავის რკინის გზის გამგეობამ სთხოვა ამიერ-კავკასიისას, გამოაკარით განცხადება მგზავრთა და საქონლის გამგზავნელთა საყურადღებოდ, რომ მემანქანეების, მოსამსახურეთა და დეპოს **მუშების გაფიცვის გამო** სახალხო მატარებლები მარტო ბალაჯარიდან სადგურ ბესლანსა და ვლადიკავკაზამდის დადისო.

✦ „რავ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება **ქუთაისის სასარგებლოდ** ქალაქში შეტანილ და გატანილ საქონელზე გადასახადის დადების შესახებ. ეს გადასახადი დაწესდა ხუთის წლით. სულ უნდა მოიკრიბოს 14 ათასი მანეთი და ამ ფულით მოიკარწყლოს შემდეგი ქუჩები: გრუზინოვისა—150 საჟ., ძველი ტფილისისა—475 საჟ., ხოპერის დაღმართი—270 საჟ., კარდოვის დაღმართი—125 საჟ. და ორპირის ქუჩა—263 საჟ. ფუთზე უნდა დაიდოს ნახევარი კაპ.

✦ როგორც „კავ.“-ი გადმოგვცემს, სასულიერო მთავრობას განუზრახავს **გააუქმოს გურია-სამეგრელოს ეპარქია** და დაუმორჩილოს იგი საექსარხოსოს, რისთვისაც ექსარხოს ეყოლება მესამე ქორ-ეპისკოპოსი.

✦ **ქუთაისის გუბერნიის ქალაქის უძრავ ქონებაზე** უკვე გაუწერიათ სახელმწიფო გადასახადი. ქუთაისზე გაწერილია 17,165 მან., ფოთზე—4,645 მ., ოზურგეთზე—1,013 მ., რედუტ-კალეზე—118 მ. და ზუგდიდზე—1,059 მან.

✦ რადგანაც **ქუჩების მოსაკირწყლავად საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ ქვას** დიდი ბაჟი ხდება, ტფ. საბჭოს კომისიამ დაადგინა, ქვა აქვე კავკასიაში იშოვნოს, მაგალ., გელათისა, ბამბაკსა, (ერევნის გუბერნია) და სხვაგან. 12 ივლისს კომისიამ და „გეორგის“ ამხანაგობის წარმომადგენელმა იასე მეხუზლამ პირობა დასდეს. საქმე ის არის, რომ ბ-ნ მეხუზლას საზღვარგარეთიდან უნდა შემოეტანა მოსაკირწყლავი მასალა. ეხლა-კი კავკასიაშივე უნდა იშოვნოს და მოუტანოს ქალაქს თითო ცალი $12^{1}/_{4}$ კაპ. მეხუზლამ პირობით სამი წლის განმავლობაში 2 მილიონი ქვა უნდა ჩააბაროს ქალაქს, რაშიაც მიიღებს 250,000 მან. ქალაქი მოიჯარადრეს ფულს ნაწილ-ნაწილად გადაუხდის.

✦ დღეს, 14 ივლისისათვის, ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის სადგომში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა **ბანკში დაგირავებულ მამულების გასასყიდად.** გასასყიდად დანიშნულია 53 მამული, აქედან 6 ტფილისისა 12-ია კავკასიის სხვა ქალაქებისა 23 და სოფლებისა—17 მამული.

✦ ეს ერთი კვირაა **ტფილისში დიდი სიცხეები** დაიჭირა. ერთ თვეზე მეტია ხეირიანი წვიმა არა ყოფილა და როგორც ახლო სოფლებიდანაც გვატყობინებენ, იქაც თურმე გვალვებია.

✦ „რუს. სლ.“-ს სტავროპოლიდან ატყობინებენ: ამას წინად **გაძარცვეს სახელმწიფო ბანკი.** შეიპყრეს ხუთი კაცი, ხუთივე ქუთაისის გუბერნიიდან არის. დაჭერის დროს ხალხმა მათ საშინლად სცემა.

✦ აგარაკ ბახმაროს „ჯანმრთელობის“ ამხანაგობის გამგეობის წევრი მიხ. ახალაძე გვთხოვს დავბეჭდოთ: „თქვენის გაზეთის მე-2875 ნომერში მოთავსებული იყო წერილი ოზურგეთიდან, რომლითაც კორესპონდენტი გვაუწყებს, რომ აგარაკ ბახმაროზე ჯერ გამოურკვეველ მიზეზებით გადაუწყვავთ საზოგადო სახლები (ბიბლიოთეკა, რესტორანი და სავაჭრო სახლი) და რამოდენიმე კერძო სახლიო. რადგან შეიძლება ასეთმა კორესპონდენციამ დააშინოს ხალხი და არავინ გაემგზავროს ჩვეულებრივად ბახმაროზე, საჭიროდ ვსთვლი ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ის კორესპონდენცია არ არის სრული სინამდვილე, რადგან არც რესტორანი და არც სავაჭრო სახლი საზოგადოებისა არ დამწვარა. ამასთან ვაუწყებ საზოგადოებას, რომ ამ წლის სეზონში ხმარებელი ამხანაგობა „ჯანმრთელობა“ ეცდება გაამუშაობოს როგორც რესტორანი და სავაჭრო სახლში ვაჭრობა, ისე აგარაკ ბახმაროს პირობებიც. საჭიროა კი, რომ კორესპონდენტები ხმებს სინამდვილეთ არ ასვლებდნენ და მათ საზოგადოება შეცდომაში არ შეჰყავდეთ“.

✦ ქალაქის გამგეობის წევრმა ენფიაჯიანცმა მოხსენება წარუდგინა გამგეობას და აცნობა, რომ ქალაქის მოძრავი ქონება მოუვლელად და ნივთები აქა-იქა გაფანტულია. გამგეობის წევრი თხოულობს აშენდეს „ქალაქის სადეზინფექციო კამერასთან სახლი, სადაც შეიძლებოდეს ქალაქის ყველა მოძრავ ქონების შენახვა. გამგეობამ 12 ივლისს დაადგინა, აღნიშნულ სახლის პროექტის შედგენა მიანდოს ინჟინერ ტეხნელოვს ადაჯანოვს, რომელსაც გასამრჯელოდ 300 მან. მიეცემა. ალბად, ქალაქის ტეხნიკოსებს არა სცალიათ, რომ სამუშაოს ქალაქის გამგეობა სხვას უკვეთავს.

✦ როგორც ტფილისის მაზრის სოფელ დურნუკიდან გვატყობინებენ, ამ სოფლის მოხელეებს კოსაკარის მახლობლად უნახავთ ვიღაცის გვამი მოკლულ თათრებისა, ვინაობა მკვლელებისა ან მიზეზი ჯერ გერ გამოურკვევიათ.

✦ ქ-ნმა დოლუხანოვისამ თხოვნით მიმართა კავკასიის ნამესტნიკს, რომ ნება დართოს ტფილისში დრამატიულ კურსების გახსნისა. ქ-ნ დოლუხანოვისას პეტერბურგში გაუთავებია დრამატიული კურსები.

✦ ტფილისის მცხოვრები გიორგი ნათაძე 9 ივლისს სახლიდან გასულა და ვერის ბორანზე მომუშავე კარაპეტას შვილთან ერთად ვერის ბაღებში წასულა საქეიფოდ. იმ დღიდან ნათაძე გადაკარგულა. გუშინ-წინ იმისი გვამი ნახეს საბურთალოს ზემოდ, თავ. ერისთავის ადგილის ბოლოში. ნათაძისათვის ვიღაცას ტყავის ქამარი ყელში წაუჭერია და 25 წლის სიცოცხლით სავსე ახალგაზდა დაუხჩვია. როგორც ამბობენ, მოკლულს თან ჰქონებია 400 მან. ფულად, ვერცხლის ქამარი და ძვირფასი ბეჭდები, რომლებიც აღარსად არა სჩანს.

✦ ტფ. ქალაქის ქუჩების განათების მეთვალყურეებმა სთხოვეს ქალაქის გამგეობას, ჯამაგირები თვეში 40 მან. გაეხადოთ. გამგეობამ 12 ივლისს დაადგინა, ეს განცხადება სახეში მიიღოს მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვის დროს.

სად. წიფა. 11 ივლისს, მე-162 ვერსზე მატარებლის ოთხქლმავალიდან გადმოვარდა და დაშავდა სტუდენტი გოფმანი.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 13 ივლისი. ბოქაულის ესაიაშვილის დაჭრის გამო და აგრეთვე იმ ხმების გამო, რომ რაღაც საშიში უნდა მოხდესო, ქალაქის ბაღი ეს მეორე დღეა დაკეტილია. ქუჩებში, განსაკუთრებით ბაღს გარეშემო ყაზახ-რუსები დადიან, ყველგან გაძლიერებული რაზმია. ლალიძის წყლების სასმელის წინ ხალხს აღარ აყენებენ.

(შემთხვევითი)

მანჯურია. გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ ხარბინში ფულის საშოვნელად წამოსვლა სახიფათოა· აღარავის უშვებენ და ცხოვრებაც ძვირია· **ქართველთა ჯგუფი.**

გაბედულება.

ცხოვრების სვლა ემორჩილება ენერგიის კანონს. როგორც ყოველი სხეული ქვეყნიერებაზედ მიესწრაფის დაიბრუნოს ძველი მდგომარეობა, ის ცხოვრება თავის სვლაში სულ უკან იხედება. ცხოვრება კონსერვატორზედ უკონსერვატორესია. მას არ უყვარს ახალი გზა, ახალი მიმართულება. თუ რაიმე ძალამ ჰკრა მძლავრი ხელი, რათა ახალ ბილიკზედ წაიყვანოს, ცხოვრება იკრებს ხოლმე მთელ თავის ღონეს და სასიკვდილო ბრძოლას უცხადებს თავხედს.

რად ხდება ესე? განა ისტორია ნათლად არ გვიჩვენებს, რომ ახალ ბილიკს კაცობრიობა ყოველთვის კეთილისკენ მიჰყავდა? განა არ ვიცით, რომ ძველ ცხოვრებისაგან დამარცხებულ გმირს მომავალში დაუვიწყარი სახელი მიუხვეჭია? მე მგონია, ცხოვრების კონსერვატიულ ხასიათის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ სინამდვილე თვისის სიცხადით ადამიანისათვის უფრო ახლოა, გასაგები, ვიდრე ბინდით მოცული მომავალი.

მოიგონეთ ტანჯვა ჰამლეტისა, რომელსაც გულითა და სულით ჰსურს გამოესალმოს წუთი-სოფელს, უნაყოფო ბაღს, სადაც უვარგისი ბალახი ამოცენებულა; სურს მძლავრად, მაგრამ სისრულეში ვერ მოუყვანია: მას აშინებს გამოურკვევლობა იმისი, თუ რა არის სამარის იქით. „ვინ დაიდებდა კისერზედ ცხოვრების ტვირთსა, ვინ მოიხრიდა ქედს ტანჯვა-ვაების სიმძიმის ქვეშ? დიახ, არავინ. მაგრამ... რიღასიც შიში სიკვდილის შემდეგ, უცნობი ქვეყნა, საიდანაც მგზავრი არ დაბრუნებულა ცოცხლებთან, აძრწუნებს ნებას, და ჩვენ მზათა ვართ ავიტანოთ მიწიერი მწუხარება, ვიდრე გავიქცეთ უცნობ მხარეს სამარის იქით“.

ცხოვრებასაც შიში აქვს გამოურკვეველ მომავლისა, რომელიც მოვა, როდესაც თვით დაიმარხება დრო-ჟამის ჯურღმულში. ვის უნდა სიკვდილი? სული ტკბილია, და არც ერთ სულიერს არ ჰსურს შესწიროს იგი უცნობს ღმერთს. ცხოვრება, როგორც გორკის გველხოკერა, მოუხეშავი რეალისტია, მიწა უყვარს და ეშინიან ცისა. მიწის ნიადაგი მაგარია, შეთვისებული, მშობლიური. ყოველი ცხოველი მაგრად გრძნობს თავის თავს ამ ნიადაგზე და ამიტომ ადვილად არ სცვლის ახალზედ, უცნოზედ. თუმცა ცხოვრება ხედავს, რომ ახალი გზა მისთვის საკეთილდღეო არის ხოლმე. მაგრამ ისიც კარგად იცის, რომ ახალი გზა ეკლიანია, თხოულობს იმდენ მსხვერპლს, რომ შიშს ჰბადავს.

ნუ გავიკვირვებთ მაშ, რომ ცხოვრება პატივსა სცემს, ეტრფვის საუკუნოების წვალებით შექმნილს. დიახ, მართალია, მაგრამ ეს კონსერვატიზმი საშიშია ცხოვრებისთვის. იგი იწვევს ცხოვრებას აღუშფოთველ განსვენებისაკენ, ხავს მოკიდებულ გუბესკენ. თუ კონსერვატიზმს წინ არ აუყენეთ ცხოვრების მისწრაფება, [ცხოვრება შესდგება და ტბად გადაიქცევა ცოცხალ ადამიანისათვის თავის უაზრობით, ერთ ფეროვნებით. ბუნებამ თითქოს იცის ეს საშიშრობა და მიტომ ჰქმნის ძალოვან სულის ადამიანებს, რომელნიც ახორციელებენ ცხოვრების მეორე ხასიათს—წინ მისწრაფებას. არწივის შორ-მჭვრეტ თვალებით იგინი ხედავენ შორეულ, ბრწყინვალე მზეებს და მძლავრის ფრთების შემორტყმით მიისწრაფებიან მათკენ და მიიწოდებენ თავისთან კაცობრიობას. კაცობრიობა-კი ყოველ ღონეს ხმარობს მოკვეცოს მათ ფრთები, რომ მიწასთან ახლო დაიჭიროს, შეათვისოს საუკუნოებით მოპოვებული განძი. ცოტას, სულ ცოტას გაუღიმებს ბედი და სიცოცხლეშივე არგუნებს ხოლმე მათგანვე მოპოვებულ იმის სითბოს. უმეტესი ნაწილი არწივებისა მსხვერპლად სწირავს თავს ცხოვრების უკან მისწრაფებას, მაგრამ „ცუდით ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება“, გზა თვალი მაინც დარჩება.

ნ. ნიკოძე.

რუსეთის ქრონიკა

გაგზავნილ ნივთების გასინჯვა. ფინანსთა და გზათა სამინისტროების შეთანხმებით, რუსეთის მოსამზღვრე დაწესებულებანი გამოეკიდებიან, დიდის დაკვირვებით გასინჯონ ხოლმე საზღვარ გარეთიდან შემოტანილ-გატანილი ნივთები. („რ. გ.“).

გერმანიის ჩარევა რუსეთის საქმეებში. გაზ. „რუს. ვედ.“-ის სიტყვით, შეიძლება გერმანია ჩაერიოს რუსეთის საქმეებში და ამ გარემოების საფრანგეთი გულგრილად ვერ შეხედავსო. იმპერატორ ვილჰელმის ჩვეი დერმ(ა)ზობა და ქმედა სრულიად ამართლებს ამ ხმებსაო.

200 პატიმარი მინსკში. 28 და 29 ივნისს მომხდარ ამბების გამო მინსკში, ოფიციალურ ცნობების თანახმად, 200 კაცი ყოფილა დაჭერილი. პოლიცმეისტერს ქალაქის გამგეობისათვის მოუთხოვია განსაკუთრებული სადგომი, რადგან საპყრობილეებში ადგილი აღარ ყოფილა. მთელი ქალაქი აღელვებულია, სწერენ გაზ. „რ. გ.“-ში.

ს. ვიტტეს ჯამაგირი. რაც ხანი ვიტტე სამზღვარ გარედ დარჩება ზავის შესახებ მოსალაპარაკებლად, მიიღებს 5 ათას მანეთს ერთად და 400 მანეთს დღიურად. („ნ. გ.“)

კიდევ „პოტემკინის“ შესახებ. როგორც რუმინიიდან მიღებულ წერილებიდან სჩანს, ამ მატროსთა „პოტემკინ“-ის გადღიაში წასულა. ხალხი ყველგან აღტაცებით ეგებებოდა. თრასი კაცი შეუდგა მაქონ კარხანაში ქ. სოსკუტარს. ასი კაცი მიუდგა ქ. ფილზერში ცხობად ფქვილის კრეხსნულში. ოთხმოცი კაცი წასულა ქ. ასისაში, სადაც სიგურზე აურებელი ხალხი და სტუდენტი დაჰხვდათ. ახალგაზდობამ იმავე დღეს მშვენიერი გასმამ გაუმართავს საუკეთესო რესტორანში.

გაზეთის დაკეტვა. „ნ. გ.“-ის სიტყვით, ადესის გაზეთი „იუჟნ. ობოზრენია“ შეუჩერებია ერთის გვერით ადგილობრივ გენერალ-გუბერნატორს.

პოლონური ენა ხმარებაში შედის. ვარშავა-ვენის რკინის გზის დირექტორს მოსამსახურეთა ჯამაგირებისა და მოიჯარადრეთა ანგარიშების ქაღალდებზე ხელი არ მოუწერია იმ მიზეზით, რომ ეს ქაღალდები პოლონურ ენაზე ყოფილა დაწერილი, რაიცა მის შეუძლებლად დაუსახავს რუსეთის რკინის გზების საზოგადო წეს-დების ძალით. დირექტორის მაგივრად ამ ქაღალდებზე ხელი მოუწერია შემოსავალ-გასავლის გამგეს და გზის უფროსის მოადგილეს. ამ მხოლოდ ამის შემდეგ დარიგებია ფული მოხელეთა და მოიჯარადრეთათვის. 1 ივლისის შემდეგ კი, რადგან ამ გზაზე ყოველივე მიწერ-მოწერა პოლონურ ენაზე შემოიღეს, გზის გამგეობამ აღიარა ამ ენაზე შეიღო დეშეშა. („რ. გ.“).

ყაზანის სამოსამართლო პალატის სესია ეკატერინბურგში განიხილავს რამდენიმე პოლიტიკურ საქმეს. ბრალი ედება 36 კაცს, აქედან 17 გლეხია, 9 მოჯამაგირე და ერთი თავადის ასული. („რ. ს.“).

აგრარული მოძრაობა 7 ივლისიდან გაძლიერდა სარატოვის მაზრის სხვა და სხვა სოფლებში. გამგზავრა გუბერნატორი შემდგომთათვის ადგილებზე. („რ. ს.“).

გრაფ შუვალოვის მკვლელის კულიკოვსკის შესახებ შემდეგ ახალ ცნობებს გადმოგვცემენ: 1901 წ. კულიკოვსკი დაუსწრებლობით არა დიდმა ბიუროკრატიამ მენსხეობისთვის. ორი წლის შემდეგ კულიკოვსკი იაკუტის ოლქში გაუგზავნიათ 6 წლით. კულიკოვსკი 34 წლის კაცია. იმისი ხმიდისრდი გარდა, კულიკოვსკის უსწავლია მეცნიერების სასტატიო ინსტიტუტში, შემდეგ მასწავლებლად იყო მეტი.

ამისათვის კლასთა [კლასიფიკაციისათვის საჭიროა ავიღოთ სხვა უფრო გადამწყვეტი მომენტი. ამგვარ მომენტად ჩვენ ვსთვლით შემოსავლის მომენტს, რომელიც ჰქმნის საერთო ინტერესებს და, მაშასადამე, კლასს. ძლიერ საჭიროა ამ აზრის ნათელმოფენისათვის მოვიყვანოთ იმავ კაუტსკის სიტყვები. „ავიღოთ, მაგალითად, მუშათა კლასი,—სწერს იგი Neue Zeit, XXI, წელ. 1903);—ამ კლასში შედიან: წიგნის მბეჭდავნი, ბოგანო გლეხები, მქსოველები და მროვლები, მეტალურგის მუშები. მაგრამ ეს დაყოფა არა ჰქმნის კლასებს. ყველა მათგანს საერთო წინააღმდეგობა კაპიტალისტის ინტერესთან და მიწის საკუთრებასთან, რადგან განსაზღვრულ ნორმაში ერთგვარ შემოსავლისა სამუშაო ქირას შეუძლია იმატოს მხოლოდ შემოსავლის ამ ორ წყაროდან; პირიქით, თვით მუშათა კლასის საზღვრებში სამუშაო ქირა ერთის რომელიმე წრისა სრულებით არ იზრდება მუშათა სხვა წრის შემოსავალზე. უფრო წინააღმდეგ: ყოველი აწევა სამუშაო ქირისა აძლიერებს იმ ტენდენციას, რომ სამუშაო ქირამ მუშათა სხვა წრეებშიაც იმატოს“. ასე ამბობს კაუტსკი და იგი მართალსაც ამბობს, რადგან ერთად-ერთი მომენტი კლასთა განსაზღვრისა არის მომენტი შემოსავლის ნაციონალ წარმოებიდან. და აქედან გამომდინარებული ერთობა ინტერესებისა. როდესაც ამ შეხედულებით შევადარებთ პროლეტარებს და მშრომელ გლეხებს, დავინახავთ, რომ ისინი წარმოადგენენ მხოლოდ ორ კატეგორიას ერთი და იმავე მშრომელ ხალხისას, რომელთაც ამისათვის საერთო ინტერესები აქვთ. ამ ფაქტზე გამყარებთ ჩვენ ზემოხსენებულ შეხედულებას, რომელიც არა ემთხვევა „წმინდა პროლეტარულის“ გასხვავებით და რომელსაც ჩვენ „მშრომელთა“ ხელდებით წერტილი გვეწოდებ...

მშრომელ გლეხისა და პროლეტარის ინტერესების ერთობას ამყარებს ის გარემოება, რომ გლეხის წარმოებამ პროლეტარული ხასიათი მიიღო. როცა წვრილი წარმოება და მსხვილი ერთი-მეორეს უპირისპირდებოდნენ სოფლად თავის ნაწარმოებთა გასაღების დროს, მაშინ, რასაკვირველია, უმეტეს შემთხვევაში გამარჯვება მსხვილს წარმოებას დარჩებოდა. მაგრამ სოფლად წვრილი წარმოების გაქრობა არ მომხდარა ისეთის ფორმით, როგორც ეს მოხდა ინდუსტრიის სხვა და სხვა დარგში—გლეხი არ გამქრალა და არც გაპროლეტარებულა. მოხდა მხოლოდ შემდეგი: გლეხის წვრილი მეურნეობა წვრილ ბურჟუაზიულიდან გადავიდა ეგრედ-წოდებულ „გაპროლეტარებულ“ გლეხის მეურნეობაში, ესე იგი, ისეთ მეურნეობაში, სადაც გლეხს ბაზარზე თავისი ნაწარმოები კი აღარა, თავისი სამუშაო ძალა გააქვს. აი რასა სწერს კაუტსკი ამის შესახებ ზემოხსენებულ წინასიტყვაობაში: „თანამედროვე წვრილი წარმოება წარმოადგენს წმინდა პროლეტარულ ტიპის მოვლენას; მისი წევრნი სულ ხალხებ და ნახლებ ინტერესდებიან წარმოების იარაღთა საკუთრებაში და სულ უფრო და უფრო მიდიან იმავ კლასობრივ ანტაგონიზმამდე, როგორც დაქირავებული პროლეტარიატი... რადგან ამგვარ წვრილ წარმოების წევრნი არიან განცალკევებულნი, შევიწროებულნი და ღონე-მიხდილნი, ვიდრე მსხვილ წარმოებათა მუშები; რადგან მათი ეკონომიური მდგომარეობა უფრო ნაკლებ მარტივი და ნათელია, ვიდრე ხაძლვილ დაქირავებულ მუშათა, ამისათვის, რასაკვირველია, უფრო ძნელია მათი შეკავშირება და კლასობრივ თვითცნობიერებამდე მიყვანა. მათ შეუძლიათ შემთხვევის დროს განდხენ ფიცის გამტეხელნი და კონსერვატიული ამრჩეველნი, შეუძლიათ შეაფერხონ გამათავისუფლებელი ბრძოლა პროლეტარიატისა, მაგრამ ისინი უკვე არსად არ წარმოადგენენ ისეთს ელემენტს, რომელზედაც შეეძლოს კაპიტალს მტკიცედ დაამყაროს თავისი ბატონობა. ადრე თუ გვიან მათი კლასობრივი ინტერესები აიძულებენ მათ გადავიდნენ მებრძოლ მუშათა კლასის მხარეზე“.

ეხლა ვიკითხოთ: რას თხოულობს პროლეტარი! წარმოების საზოგადოებრივ ორგანიზაციას, წარმოების საშუალებათა გასაზოგადოებრივებას. რას თხოულობს მშრომელი გლეხი? მიწის თანასწორად დაყოფას, ან „ჩაშავებას“ (Черный передѣлъ). ორივენი თანასწორობისაკენ მიისწრაფვიან. ხოლო, როცა თანასწორობისაკენ მისწრაფებას პროლეტარი წარმოების გასაზოგადოებრივობამდე მიჰყავს, იმავ მისწრაფებას მშრომელი გლეხი მიჰყავს წარმოების საშუალების (მიწის) დაყოფამდე. ნუ თუ არ ეწინააღმდეგებიან ერთი-მეორეს ეს მისწრაფებანი პროლეტარისა და მშრომელ გლეხისა? სრულიადაც არა! ეს წინააღმდეგობა მხოლოდ მაშინ იქმნება, თუ რომ მშრომელი გლეხი წინააღმდეგია შრომის გასაზოგადოებრივობის იდეისა, იგი ეწინააღმდეგება მხოლოდ კაპიტალისტურ გასაზოგადოებრივ შრომას და არა თვითონ გასაზოგადოებრივობას; ეწინააღმდეგება იმ კონკრეტულ კაპიტალისტურ ფორმას, რომელიც თვითონ ეწინააღმდეგება თავის სოციალურ შინაარს—წარმოებაში თანამშრომლობასა და კოოპერაციას. კაპიტალიზმი არის ანტაგონისტური ფორმა შრომის გასაზოგადოებრივობისა.

თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენი აგრარული პროგრამა თავის თავად საგულისხმოა. ჩვენ ვერ დავიწყებთ სოფლად ისეთს ტაქტიკას, როგორც არის მარქსისტთა ტაქტიკა: მოშხადება სოფლად ბურჟუაზიულ ხიდაკისა „კლასთა ბრძოლის თავისუფალ განვითარებისათვის;“ ჩვენ ვერ დავუწყებთ ცქერას მშრომელ გლეხს როგორც მომავალ პროლეტარს; იგი გვაინტერესებს დღეს, როგორც წვრილი მესაკუთრე რომლის ხსნა ერთად ერთი საშუალებაა: ეს საშუალება არის მიწის გასაზოგადოებრივება. თვით ენგელს ზემოხსენებულ შრომაში („გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში“) სწერს შემდეგს: „თავი და თავი საქმე ის არის აუხსნათ გლეხებს, რომ ჩვენ შეგვიძლია ვუშველოთ მათ, გადავარჩინოთ მათი კარმიდამო და მიწის საკუთრება მხოლოდ მაშინ, როცა ესენი გადაიქცევიან საამხანაგო საკუთრებად და გადავლენ საამხანაგო წარმოებაში; რადგან ინდივიდუალურ წარმოებას ინდივიდუალურ საკუთრების საფუძველზე გლეხი დაღუპვამდე მიჰყავს. თუ იგი მოინდომებს მაინცა და მაინც შეირჩინოს ამ გვარი წარმოება, მაშინ იგი დაჰკარგავს მიწასაც და კარმიდამოსაც, რადგან კაპიტალისტური წარმოება გააქრობს მისს მოძველებულ წესს წარმოებისას. ასე არის ეხლა საქმე დაყენებული. და აი, მოვდივართ ჩვენ გლეხებთან და შევძლებთ გაძლევთ თვითონვე წაიყვანოთ მსხვილი წარმოება, ხოლოდ არა კაპიტალისტურ არამედ საკუთარ ანგარიშით. ნუ თუ არ შეიძლება მივახვედროთ გლეხებს, რომ ამას მოითხოვს მათივე ინტერესი, რომ ეს არის სხშვალება მათის შველისა?“ (გვ. 33). აი, რას ამბობდა ენგელსი 1894 წელს! ეს კიდევ საყურადღებო ის არის, რომ ენგელსს სწამდა გლეხთა გაპროლეტარება („გაპროლეტარების გზით თვითონ გააქრობს მის მოძველებულ წარმოებას“) და მიმ ის აზრი გამოსთქვა, რომ მშრომელ გლეხთა სახსნელად ერთად ერთი გზა: გადაქცევა მათის წარმოებისა საამხანაგო წარმოებად და მათის საკუთრებისა საამხანაგო საკუთრებად. თუ ამას თხოვდა ენგელსი, რომელსაც კიდევ ეგონათ საჭიროდ გლეხთა გაპროლეტარება, მაშ ჩვენ რა უნდა მოვითხოვოთ, ვისაც ეს გაპროლეტარება არა სჯერა!

ასეთია მოკლედ ჩვენი შეხედულება აგრარულ საკითხზე. სხვა დროს მოვიყვანთ იმაზე, თუ როგორ უნდა მოეწყოს საქმე სოფლად კონკრეტულად. შეიძლება, მაგალითად, ავიღოთ გლეხთა კავშირი ორგანიზმი.

გ. კ.

ლეიპციგი.

ტერგოფსა და პეტერბურგში. კულიკოვსკის ჰყოლია ცოლი და ორი შვილი. („ნ. გრ.").

ფულის გაფლანგვა. პეტერბურგში ხმა დადის რომ საზღვაო სამინისტროს უწყებაში ბევრი რამ საინტერესო გამოირკვევა. თურმე გაუფლანგავთ დიდძალი ფული, რომელიც გემების შენებაზე უნდა დაეხარჯათ. სულ გაფლანგული სამ მილიონ მანეთამდეა. („ბ. გ.").

წერილები

საჩხერე (იმერეთი). გლეხთა მოძრაობა აქ მარტიდან დაიწყო. პირველად ბოიკოტი გამოუცხადეს სოფლის სასამართლოს და სკოლას, შემდეგ აირჩიეს თავიანთ შორის ასის თავებათ და ათის თავებათ საიმედო პირები და მათ მიანდეს სოფლის ყოველივე საქმე. 8 ივლისს თავი მოიყარა ერთად ოფიშქვითის და საჩხერის საზოგადოებამ და შეჰფიცეს ერთმანეთს. კრებას დაესწრო ქალები, კაცები და ბავშვები, რიცხვით 2000-მდე. კრებამ, სხვათა შორის, დაადგინა: შემოღებულ იქნას თავისუფალი მმართველობა; შემოღებულ იქნას სავალდებულო უფასო სწავლა-განათლება ორისავე სქესის ბავშვთათვის 16 წლამდის; გაუქმდეს წოდება; დაუბრუნდეს გლეხობას ის ადგილ-მამული, რომელიც მათ ჩამოაცალეს ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ; სახელმწიფო და საეკლესიო მამულები, ტყეები გადაეცეს გლეხთა საზოგადოებას; სასოფლო გზების კეთება დაევალოს ყველა წოდებას; დაწესდეს პიროვნების და საცხოვრებელ ბინების ხელუხლებლობა და თავისუფლება სინდისის, სიტყვისა და სხვა. **სალი**

—

დ. ყვირილა. რაც განმათავისუფლებელმა მოძრაობამ იჩინა თავი და მკვიდრთა შორის ერთობა დამყარდა, ძლიერ შემცირდა ძარცვა-გლეჯა, ქურდობა, კაცის კვლა, საჩივარი და სხვა. არჩეულ პირების საშუალებით ყოველ ბოროტებას ადვილად და ჩქარა აჩენდნენ და ხალხიც მადლიერი იყო ახალ თაობისა. რამდენიმე კვირის შემდეგ ყვირილაში დააბინავეს ასი ყაზახ-რუსი. ბევრს სოფელში გაიარ-გამოიარეს მაზრის უფროსის თანაშემწებით, ზოგან ეკზეკუცია ჩააყენეს, რამაც სოფლელები შეაშინა. ამან ქურდ-ბაცაცები გაათამამა.

9 მარტს ს. კვალითში მცხოვრებ ქერივს მანიჯან ახრახაძისას შუღამისას სახლში შეუცვივდა ექვსი შეიარაღებული ყაჩაღი, წაართვეს 156 მან. ნივთები და ოციოდე მანეთი ფულად. მარტის გასულს გატეხეს ალფეზ გაჩეჩილაძის დუქანი და გაიტანეს 2000 მან. საღირალი საქონელი. ნაწილი საქონლისა აღმოუჩნდა ვარძიაში მცხოვრებ ლოლაძეს. 8 ივნისს მეგრელიშვილმა გამოიტანა ხაზინიდან 325 მან. და ცხენით წავიდა შორაპნისაკენ, გზაზე დახვდა ორი შეიარაღებული ყაჩაღი და გაძარცვა. როგორც აღმოჩნდა, ყვირილაში მთელი გროვაა ქურდების და ყაჩაღებისა, რომელნიც ერთობის სახელით აგროვებენ ფულს „საიდუმლო კომიტეტის" სასარგებლოდ, ართმევენ ზოგიერთებს თოფებს და სხვა იარაღს, რომელსაც თავისს სასარგებლოდ იყენებენ. ბევრს გაუგეს ამგვარი ოინები და გააძევეს დაბიდან, მაგრამ უმეტესი ნაწილი მათი კიდევ პარპაშობს და ხალხს თავზარს სცემს მათი მოქმედება.

17 ივნისს ნაშუადღევის სამ საათზე ცეცხლი გაუჩნდა ჩუბინიძის შენობას და რამდენსამე საათში დაიწვა ექვსი დუქანი და ერთი სასტუმრო. ზარალი დიდია. შენობები დაზღვეულია.

გაფიცვა დაიწყო 24 და დამთავრდა 29 ივნისს. ოთხის დღის განმავლობაში ბაზარში არ იშოვებოდა არც პური და არც ხორცი. სოფლებიდან არავინ შემოდიოდა, ქუჩებში არავინ ჭაჭანებდა, რის გამო დაბაში სამარისებური სიჩუმე იყო გამეფებული. 29 ივნისს, როცა გაფიცვა გათავდა, პოლიციამ დუქნების გაღების ნება არავის მისცა—ჩვენ ნებაზეც დახურეთ ერთხელ მაინცაო, მაგრამ ბ-ნი სტაროსელსკი ჩაერია საქმეში და გაალებინა დუქნები.

სალი.

—

ს. ვაქირი. (ქიზიყი). აქ ფრიად შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა. ამ თვის შვიდში სამოცის წლის მოხუცი დედაკაცი სოფლის პირად თავის ვენახში დღისით მუშაობდა მარტოკა. ამ დროს მიჰპარვია თავისავე სოფლის კაცი და გაუუპატიურებია; დედაკაცი დაჰმუქრებია. ამის გამო კაცს, დანით ყელი გამოუჭრია. ამ ამბავმა მთელი ვაქირის საზოგადოება, კაცი თუ ქალი, საშინლად აალელვა. 10 ივლისს შეიყარა მთლად ვაქირის საზოგადოება სოფლის კანცელარიასთან და გამოიყვანა მკვლელი, რომელმაც საჯაროდ აღიარა დანაშაული. ამაზედ საზოგადოებამ ჯერ თავდაყირა დაჰკიდა თოკით ხეზედ ერთი საათით, მერე ფეხებზედ შებმულის თოკით გაათრიეს ანაგის ხევზედ და ისე ჩააქვავეს, რომ ზედ მკვდარზედ ერთ საჟენის სიმაღლემდის ქვები ააგროვეს. **აქაური.**

—

რიონ-ზალმის კუთხე. ორი თვე იქნება, რაც აქეთ გლეხთა მოძრაობა დაიწყო. ყველგან გაისმის ძმობისა და ერთობის ხმა. ყველგან ეფიცებიან ერთმანეთს. შესწყვიტეს ყოველივე დამოკიდებულობა სოფლის სასამართლოსთან; ჰყავთ ამორჩეული პირები, ათის და ასის თავებად წოდებულნი, რომელნიც თვით საზოგადოებისვე დახმარებით აწესრიგებენ საქმეებს. ქურდობა, ძარცვა-გლეჯა და ყოველივე ავკაცობა, რაიც ხშირად ხდებოდა აქეთ, მოისპო, ცუდი ადამიანები ველარ ჰბედავენ თავისებურად ნავარდობას, რადგან ეშინიანთ „ახალ კანონებით" გასამართლებისა.

29 ივნისს პეტრე-პავლობის დღეს სოფელ ბზვანში ერთ მოედანზე თავი მოიყარეს თავიანთ ჭირ-ვარამზე მოსალაპარაკებლად სამი სოფლის: ბზვანის, ინაშაურის და ამაღლების მცხოვრებთ, კრებას დაესწრო აგრეთვე აქაური თავად-აზნაურობა და სამღვდელოება. ეს დიდი მოედანი ისე იყო გაჭედილი ქალით, კაცითა და ბავშვებით, რომ ნემსი ძლივს ჩაერჭმოდა. დაიწყო სიტყვების თქმა; ხალხი სულ განაბული უსმენდა. როდესაც ლაპარაკი გათავდა, რაიც 3-4 საათს გაგრძელდა, ხალხმა ერთბაშად იგრიალა და დიდის ამბით გაემართა იარმუკისაკენ სოფ. ამაღლებაში. ამნაირად ეს ამოდენა ხალხი იარმუკაში ჩავიდა. იქ კიდევ ბევრი შეუერთდათ. იქაც ბევრი ილაპარაკეს. მერმე ზოგიერთებმა დღიურ ვარაუზე ჩამოაგდეს სიტყვა და ურთიერთ-შორის მოლაპარაკებით გადასწყვიტეს კიდეც. ამის შემდეგ ხალხი წავიდ-წამოვიდა.

ზედა ყოშხელი

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის პ-ტივცემულ გაზეთის საშუალებით რამდენიმე სიტყვა ვსთქვა იმ ინციდენტის გამო, რომელიც სამს ივლისს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების კრებაზე მოხდა და რომელმაც ამდენი მითქმა-მოთქმა გამოიწვია როგორც გაზეთებში, ისე საზოგადოებაში.

ყველას მოეხსენება, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლას ჩვენის საზოგადოებისათვის. ეს არის ერთად-ერთი საშუალო სასწავლებელი, სადაც ღარიბ თავად-აზნაურობას ადვილად შეუძლიან სწავლა მიაღებინოს თავისს შვილებს და შემდეგ მაღალ სასწავლებლებშიაც სწავლის დასამთავრებლად გზა მისცეს. გარდა თავად-აზნაურობის შვილებისა, ამ სკოლაში სწავლობენ და იზრდებიან სხვა წოდების შვილებიც.

ბევრს ისიც მოეხსენება, სხვადასხვა პირობების გამო, რა ეკლიან გზაზე მოუხდა ჩვენს სკოლას წინსვლა, რამდენი დაბრკოლება გამოიარა და, ვინ იცის, კიდევ რამდენი მოელის. მაშასადამე, ყოველი მამულიშვილი, ვისაც კი გული შესტკივა ჩვენის ახალ თაობისათვის, უნდა ცდილობდეს ამ სკოლის წარმატებას, მის დახმარებას, მის გაუმჯობესებას.

ყოველ ამისთანა დაწესებულებას და, მაშასადამე, ჩვენს საზოგადოებასაც, რომელმაც ეს სკოლა დააარსა და დღემდის აწარმოებს, აქვს თავისი საკუთარი წესდება, რომლის ძალითაც განაგებს თავის საქმეებს. მას ამ წესდებით ნება აქვს სკოლების დაარსებისა და ამ სკოლებში სწავლა-განათლების წარმოებისა. ამისათვის ყველა ჩვენგანი უნდა მტკიცედ იცავდეს ამ წესდებას ვიდრე ეს წესდება, დროების და საჭიროების მიხედვით, არ შეიცვლება.

მეორეს მხრივ, ყოველი ნაბიჯი ამ წესდების მუხლის შეცვლაზე კარგად უნდა იყოს გამორკვეული, გამოანგარიშებული, თუ ეს ცვლილება რა სარგებლობას მოუტანს ჩვენს სკოლას, აწონ-დაწონილი და მერე ისე მიღებული, უეცრივ ერთბაშად შეცვლა ამ წესდების უმთავრესის მუხლისა საშიშოა იმ მხრით, რომ ვაი, თუ შემდეგში უფრო მეტი ვნება მოუტანოს საზოგადოებას, ვიდრე სარგებლობა.

აი, ამ აზრით ვხელმძღვანელობდი, როგორც კრების თავმჯდომარე, მასწავლებლებისაგან წარმოდგენილ სასკოლო რეორგანიზაციის განხილვის დროს. თუმცა ეს პროექტი არ იყო აღნიშნული და გამოცხადებული სხვა საგნებთან ერთად გასაშინჯავად და გადასაწყვეტად წრევანდელ კრების-მიერ, მაგრამ კომიტეტი, თანახმად კრების სურვილისა, დასთანხმდა ექონია ამ საგანზედაც კრებას თავისი სჯა, იმ განზრახვით, რომ შემდეგში ეს საგანი გარდაეცა შესამუშავებლად კომისიისათვის, რომელსაც უნდა ვრცლად და ყოველ მხრივ შეემუშავებინა ეს პროექტი და მერე წარედგინა საგანგებო კრებისათვის დასამტკიცებლად. და მართლადაც, კრება პირველ ივლისს ამგვარად მოიქცა: სკოლის რეორგანიზაციის პროექტი, სხვათა შორის, თხოულობს, რომ ჩვენს სკოლას მოსამზადებელი ხასიათი შეეცვალოს. ამ საგანზე კრებამ იქონია სჯა და შემდეგ გადასცა იგი შესამუშავებლად და დასასაბუთებლად კომისიას, რომელსაც უნდა შემდეგ კრებისათვის წარმოედგინა დასამტკიცებლად.

ორს ივლისს სკოლის გამგებელმა ბ. ჩიტაძემ წამოაყენა მეორე საგანი, შესახებ სრულის ავტონომიისა, რომელიც უნდა მინიჭებოდა პედაგოგიურ საბჭოს. ამ ავტონომიის წინააღმდეგი არ იყო არც კომიტეტი და არც, რასაკვირველია, კრება. გამგე კომიტეტი მხოლოდ ერთ საგანზე აცხადებდა თავის ეჭვს. ეს საგანი ის გახლავთ, რომ აწინდელის წესით (14 მუხლი წესდებისა) სკოლის გამგეს ირჩევს გამგე კომიტეტი, რომელიც პასუხის მგებელია საზოგადოების წინაშე სკოლის საქმეების რიგიანად წაყვანაში, და პედაგოგიურ საბჭოს პროექტით კი ეს უფლება ერთმევა კომიტეტს და ეძლევა მასწავლებლებს, რომელნიც დამოკიდებულნი არიან სკოლის მმართველზე. აი, ეს ფრიად რთული და მძიმე საკითხი იყო მიზეზი იმ სამწუხარო ინციდენტისა, რომელიც მოხდა სამს ივლისს.

პირადად მე იმ აზრისა ვიყავ, რომ რადგან სკოლის მმართველის არჩევის უფლება ერთი ორგანოდან მეორეზე გადადის, ეს არის შეცვლა წესდებისა და მაშასადამე, წინდაწინ გამოუქვეყნებლად და გასარჩევ საგნების სიაში შეუტანელად, ჩვენ არავითარი უფლება არა გვქონდა დღესვე გადაგვეწყვიტნა ეს საგანი. მე ეს აზრი წარმოვსთქვი წინა დღით, ორს ივლისს, კრებაზე, როდესაც სკოლის გამგებელზე ადძრეს ლაპარაკი. კრებამ ისურვა მაინც ჰქონოდა სჯა ამ საგანზე და მეც დავთანხმდი იმ იმედით, რომ ამ საგანსაც გადასცემდნენ განსახილველად კომისიას, რომელსაც გადასცეს წინა დღით ამაზე უფრო უმნიშვნელო საგანი შესახებ ჩვენის სკოლის მოსამზადებელ ხასიათისა. სამს ივლისს მთელი დღე მონდომეს ამ საგნის განხილვას. თითქმის ექვსის საათის ნახევარი იყო, როდესაც კრებამ მოისურვა ამ ფრიად რთულის და სამძიმო კითხვის კენჭით გადაწყვეტა.

მე, როგორც თავმჯდომარე, მოვალე და პასუხის მგებელი ვიყავ მთელის ჩვენის საზოგადოების წინაშე, რომ ჩვენს გადაწყვეტილებას კანონიერი ძალა ჰქონოდა. კენჭით გადაწყვეტა ამ საგნის, როგორც წინა დღითაც გამოვაცხადე, მე მიმაჩნდა მოუფიქრებლად, უკანონოდ. ჯერ იმიტომ, რომ ამ კენჭის ყრით იცვლებოდა ჩვენი წესდება შესახებ სკოლის გამგებელის არჩევნისა, რაც არ იყო გამოცხადებული იმ საგანთა შორის, რომელიც წრევანდელ კრებას უნდა განეხილა და გადაეწყვიტა. მეორე ისა, რომ იმ ოც-და-ხუთ წევრებს შორის, რომელნიც სიაში იყვნენ ჩაწერილნი, ზოგს არა ჰქონდა ხმა და ხმას კი ითხოვდა. ჩვენ იმის გამორკვევა, ვინ იყო წევრი და ვინ არა, ძალიან შორს წაგვიყვანდა და უფრო აალელვებდა ისედაც ნერვებ-აშლილ საზოგადოებას, მით უმეტეს, რომ თორმეტ საათიდან ექვსის ნახევრამდე მოღალა საზოგადოება და ზოგის ორატორის სიტყვებმაც საკმაოდ აალელვა ხალხი.

ახლა მე მკითხველს ვეკითხები: განა ამ პირობებში შემეძლო კენჭი მეყარა ისეთ საგნისათვის, რომელზედაც დამოკიდებულია ჩვენის სკოლის ბედ-იღბალი? ვთქვათ, კენჭიც მეყარა,—განა ამისთანა გადაწყვეტილებას კანონიერი ძალა ექნებოდა? ხომ მეორე დღესვე შეეძლო უკმაყოფილო ნაწილს დაერღვია ეს ჩვენი გადაწყვეტილება. აბა ახლა თქვენ გეკითხებით: მე, როგორც თავმჯდომარე, მაშინ რა მდგომარეობაში ვიქნებოდი? კრების დახურვა კი გამოიწვია იმ უკმაყოფილებამ, რომელიც გამოაცხადეს ყვირილით ზოგიერთებმა შესახებ კენჭის ჩამოუტარებლობისა.

აი, ასე გახლდათ საქმე.

თ. დი ვასილი გიორგის ძე მაჩაბელი.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

12 ივლისი

გოძიადანი, 12 ივლისი. ჩვენი საყარაულო მონგოლიის საზღვრამდე აღწევს. გარჩევით მოსჩანს იაპონიის ფანზები. სწრაფად დადიან იაპონელების კავალერისტები. ჩვენსა და იაპონიის პოსტებს შორის მშვიდობიანად მუშაობენ ჩინელები. სადაც ხრამები ხვდებიან ერთმანეთს, იქ ყარაულები ძლიერ ახლოს დგანან ერთმანერთთან. დაჭრილები მუდამ დღე არიან. ჩვენს წინ მოძრაობას ხელს არ უშლიან იაპონელები, ისინი უკან იხევენ საყარაულოებისაკენ და მყისვე იფარებიან. სხვა არაფერი ვიცით იაპონელების სადგომ ადგილების შესახებ. ბევრ ადგილას მოშორებით მოსჩანან იაპონელების ბივაკები, კარვები და ბოლი საჭმლის კეთების დროს. რკინის გზის აღმოსავლეთით იწყება მთები. საყარაულოები გამართულია მთის მწვერვალებზე, ხეობებში, ბარებში. ყველგან, საიდანაც გზებზე თვალ-ყურის დაჭერა შეიძლება. ჩრდილოეთისაკენ არავის არ უშვებენ. სოფლებიდან გააძევეს ჩინელები გორაკებიდან ნათლად მოსჩანს ფიჩხისადან გაკეთებული საფარი, მას უკან დამალული არიან იაპონელების ყარაულები. ჩანტაფუდან ნანჩენამდე მთა უჭირავთ იაპონელების სიმაგრეებს და მძიმე შთაბეჭდილებას ახდენენ. ჩვენ მთებში უმეტესად მოხალისენი გვყავს განსაკუთრებით შესანიშნავი დემჩენკოსი, სუშჩილნიკოვისა და ოსტრაპენკოს მოხალისეთა რაზმები. უკანასკნელის რაზმში 60 გიორგიელია.

მოსკოვი. მოსკოვის დაბალმა მოქალაქეებმა წინადადება მისცეს გამგეობას, გაუგზავნოს ლანევიჩს დეპეშა და გამოუცხადოს იმედი რომ რუსეთის გაუმკლავდება იაპონელებს და ნებას არ მისცემს ჩამოაგდონ სამარცხვინო ზავიო.

ბერლინი. „კელ. ცაიტუნგ"-ი ამბობს, უაზრობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ გერმანიის იმპერატორი გავლენას იქონიებს იაპონიასთან ომის გაგრძელებისა და შინაურ რეაქციონურ პოლიტიკის სასარგებლოთ. ამ საკითხების გადაწყვეტა მეფეზე დამოკიდებული, რაც გერმანიას შეეხება, მას გახარებია, რუსეთის მთავრობა რომ კონფერენციაში [illegible] ჩასვამდა შინაურ საქმეებს, რომელიც თვითონ აიძულებს კრიზისს და უზრუნველ-ჰყოფს სამშობლოს წარმატების გზას. ამას ითხოვს როგორც ინტერესები გერმანიისა, ისე იმპ. ვილჰელმის მეგობრული განწყობილება რუსეთის საიმპერატორო საგვარეულოსთან.

ლონდონი. იმპერატორების შეხვედრის შესახებ იმ აზრის არიან საერთოდ, რომ რუსეთს არ შეუძლიან არც ერთ მხარეს მიემხროს; რუსეთმა კეთილი განწყობილება უნდა დაიჭიროს ყველა სახელმწიფოებთან.

ბელოსტოკი. მცხოვრებლებს მეოთხე დღე და ღამეა არ აქვთ ხორცი, რადგანაც უთანხმოება ჩამოვარდა საყასბოები მოიჯარადრეთა და ქალაქის გამგეობას შორის.

ადესა. გემების პატრონებმა გემების დაბალ მოსამსახურეებს 40 პროცენტით გაუდიდეს ჯამაგირი.

ვილნო. დაიჭირეს ჭაბუკი, რომელმაც აბრამოვიჩი უწოდა თავს, და რომელსაც უნახეს 22 ათასი მთავრობის საწინააღმდეგო ბროშიურა, იარაღის საწყობი, შრიფტი და ჰექტოგრაფი.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

13 ივლისი.

პარიზი, 13 ივლისი. გუშინ რუვიემ მიიღო ვიტტე. ილაპარაკეს ერთ საათამდე. ვიტტე დღეს დილით მიდის პარიზიდან.

ტოკიო. აომორიდან ტელეგრაფით იუწყებიან, სახალინიდან ტყვედ წამოყვანილი 764 რუსი პირიამინოში გაიგზავნათ. ვისაც ბრძოლაში არ მიუღია მონაწილეობა, იოკოგამაში გაჰგზავნიან. ოფიციალურად იუწყებიან, რომ იაპონიის არმიამ ჩრდილოეთ-დასავლეთ კორეიაში დაიჭირა 11 ივლისს ადგილები პურენიდან სიპუნშანამდე. როგორც ხმები დადის რუსების არმიას ტუმენზე 40 ათასი კაცი მიემატა. იოკოგამაში მივიდა ამერიკის სამხედრო მინისტრი ტაფტი რუზველტის ქალთან ერთად.

კიევი, 13 ივლისი. ნაშუადღევს 5 საათზე საშინელი გრიგალი და ქუხილი იყო. ქუჩებში მთელი მდინარეები მადიოდა. ქალაქის შუაგულში წუთით ავსილა რამდენიმე ათი მაღაზია. გაცებიც იმსხვრევა. გრიგალმა 40 წ. გასტანა.

მადრიდი. მეფემ უარი სთქვა ბერლინში წასვლაზე.

რომი. იტალიის მთავრობამ ენერგიული პროტესტით მიჰმართა ოსმალეთს მეწამულ ზღვაზე ავაზაკთა აღმოფხვრის შესახებ.

პეტერბურგი. გამოქვეყნებულ იქმნა კონვენცია რუსეთსა და დანიას შორის სავალდებულო სამედიატორო სამართლის შესახებ.

ბერლინი; 12 ივლისი („სპ. კორესპ."). შემდეგი დასკვნა წარადგინა რეიხსტაგის სპეციალურმა კომისიამ ნორვეგიის საქმეების შესახებ: რეიხსტაგმა უნდა გამოაქვეყნოს, რომ ის არ ხედავს დაბრკოლებას უნიის გაუქმების შესახებ მოლაპარაკების გამართვაში; ამასთან კომისია ურჩევს შემდეგი პირობების წამოყენებას: საზღვრების სიმაგრეები უნდა დაინგრეს და ახალი არ უნდა აშენდეს. შემდეგ უნდა დადგენილ იქნას, რომ შვეცია არ აგებს პასუხს ნორვეგიის მაგიერ სხვა სახელმწიფოების წინაშე; სასურველია, მაგრამ არა საჭირო ხელშეკრულების ჩამოგდება სამედიატორო სასამართლოზე; ტრანზიტული ვაჭრობა სრულიად თავისუფალი უნდა იყვეს და სხვა. სამინისტრო სამსახურიდან გავიდა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**

განცხადებანი

✦ კბილებს ✦

ვილებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—10)

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია **„ცოდნა"** გამოცემა

სამშობლოსათვის თავდადებულნი . 40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში—20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა—20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი . . . 10
იაპონია ნ. ნიკოლაძისა 20

ლარბაზის ქაღალდზე მოხატული სურათები:

შოთა რუსთაველისა დიდი 50 კ. აკაკისა 40 კ. ილია ჭავჭავაძისა 40 კ. რაფიელ ერისთავისა 40 კ. ნ. ბარათაშვილისა 50 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ. ირაკლი მეფისა 30 კ. ეგნატე ნინოშვილისა 30 კ., ჯგუფი ქართველ მწერალთა 75 კ., ჯგუფი თამარ. ვეფხის ტყაოსნის მირთმევა 40 კ. საქართველოს დიდება 1—20 კ. თამარ მეფის დიდი სურათი 1—50 კაპ. პატარა 6 კაპ.

და სხვა ყოველგვარი წიგნები.

მისამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა" სოსიკო მერკვილაძე. (20—16)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვის, და წამლობით 1 მანეთიდან 3-მდე.

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო.

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართონ ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—11)

ტფილისში დაარსდა სპეციალური შრომის მოყვარულთა არტელი. მიიღებს კოტოლნი, სამჭედლო და სასლესრო სამუშაოებს. საქმებს პირნათლად და კარგად აკეთებს. ადრესი: ელისაბედის ქ. ს. № 190 ოქროევისა. (30—13)

ბებია ქალი

სოფიო ილიას ასული ლოკშ-ბელბორდტი გადავიდა ხაზინის ქუჩ. № 7 ს. კნ. თუმანოვისა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (თვ.—255—18)

იყიდება ახლად აშენებული ორსართულიანი (13 ოთახი და 6 სამზარეულო) **სახლი** ავლაბარში, თელავის ქუჩაზე, № 17. ბანკის ვალი ადევს 4500 მან. მსურველმა კიდევ უნდა წაუმატოს 3000 მან. პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება იქვე, პატრონთან.

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამომსხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიკოვის ქუჩა, იკოალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბახნახვ. მ. კ. — 10
იოსებ დავითაშვილის ლექსები — 50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი — 20
ალ. ყაზბეგის I, ტომი 1
II და III ტომი თითო 1 —
ი. ჭავჭავაძის I ტომი — 70
იგივე II და III ტომი თითო — 60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ — 80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა — 10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა . . . . . . — 40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო . — 60
რაფ. ერისთავის I ტომი . . . . — 60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი — 20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა . — 55
სიბრძნე ბალავარისა . . . . . — 30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში — 15
ლვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა 1 50
რძე, მისივე 1 50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა . . . . — 80
დასტურ-ლამა . . . . . . — 20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა . . — 25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა . . . — 20
ხვთი რაფიელისა, თარგ. სომხურიდან კ. ევანგულოვისა . . . . . . 1 —

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს,** და მომზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია,** 2) **საკომერციო არითმეტიკა,** 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი** 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა,** 6) **სავექსო და სათამასუქო წესდებანი,** 7) მსწრაფლ-წერა და **წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурнаго почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, 10 დილის საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღე. (24—7)

ОТКРЫТА ПРЕДВАРИТЕЛЬНАЯ ПОДПИСКА „ЗАПИСЬЮ"
на 1905 годъ
на ежедневную, политическую, общественно-литературную газету

„КАВКАЗСКІЙ КРАЙ"

съ еженедѣльнымъ иллюстрированнымъ съ каррикатурами приложеніемъ и мѣсячнымъ журналомъ подъ названіемъ „Кавказовѣдѣніе". Ежемѣсячный журналъ будетъ высылаться безплатно только годовымъ подписчикамъ. Первый № ежемѣсячника выйдетъ въ іюлѣ.

Въ непродолжительномъ времени газета будетъ выходить ежедневной, по расширенной программѣ съ политическимъ отдѣломъ. Ожидаются отъ авторовъ, изъявившихъ согласіе на сотрудничество, рукописи и матеріалы. Приглашаются корреспонденты изъ разныхъ городовъ края, а также представители и коммерческіе агенты по сбору объявленій.

Плата за объявленія. Строчки петита: впереди текста—10 коп.; позади текста—5 коп. Многократныя объявленія печатаются со значительной скидкой. Лицамъ, ищущимъ труда—скидка 50%.

Условія подписки. Съ доставкой: на годъ—7 р.; на 6 мѣс.—4 р.; на 3 мѣс.—2 р. на 1 мѣс.—1 р. Безъ доставки на годъ—6 р. Заграницу—14 р. Допускается широкая разсрочка.

Редакція газеты „Кавказскій Край" въ виду обоюднаго удобства, какъ для себя, чтобы выяснить будущее число подписчиковъ, такъ и для гг. читателей, чтобы дать возможность безъ замедленія получать газету, а также представить имъ въ уплатѣ денегъ отсрочкой до 25-го сентября, покорнѣйше проситъ читателей, въ случаѣ желанія быть подписчикомъ нашей газеты, подписать и возвратить въ редакцію настоящій отрѣзной бланкъ „Предварительной записи", послѣ чего высылка газеты начнется немедленно и этимъ сбережется время какъ у подписчиковъ, такъ и у редакціи.

Редакція и контора: Тифлисъ, Кочубеевская, д. Эсадзе.
(ზ. 6—5). Редакторъ-издатель Б. С. Эсадзе.